645/3
1959



# საბჭოთა ქალი

№ 9 სექტემბერი 1959 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერცხლის მედლის მფლობელი ბადროსტყორცნაში, სპორტის ოსტატი ლამარა ტულუში.

ფოტო გ. თიკანაძის

# კვლავ პრიზიორთა შორის

16 აგვისტოს მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში დაეშვა მსოფლიოს ერთერთი გრანდიოზული სპორტული ასპარეზობის ალამი. აქ, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მრავალრიცხოვან სპორტულ ბაზებზე თერთმეტ დღეს ეჯიბრებოდნენ თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის, ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის რვა ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ სპორტის ოსტატებთან ერთად იცავდა ნიჭიერი ახალგაზრდობა. სპარტაკიადაზე ახალგაზრდა სპორტსმენების წარმატებით გამოსვლამ უზრუნველყო საქართველოს გუნდის მოხვედრა უძლიერესთა რიცხვში; მოსკოვის, რსფსრ-ის, ლენინგრადის, უკრაინის ძლიერი კოლექტივების შემდეგ ქართველმა სპორტსმენებმა 269 ქულით მეხუთე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

სპარტაკიადაზე სასახელოდ გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები კალათბურთში, წყალბურთში, ველორბოლაში, ჭადრაკში... განსაკუთრებული ტრიუმფი ხვდა წილად ქართველ კალათბურთელ ვაჟებს, რომლებმაც ქართული ტემპერამენტით და მაღალტექნიკური თამაშით მოხიბლეს კალათბურთის მოსკოველი გულშემატკივრები. მათი ბრწყინვალე გამარჯვება ევროპის ჩემპიონ ლატვიელ კალათბურთელ ვაჟებზე, საერთო აღიარებით სასიქადულო ფურცელია სამამულო კალათბურთის ისტორიაში.

საქართველოს გუნდის გამარჯვებისათვის მეორე სპარტაკიადის პრიზიორი ვაჟების — ვ. ბალავაძის, ა. ანტონიანის, ბ. ნიკიტინის, რ. შავლაყაძის, შ. ქველიაშვილის, ჯ. კვანტალიანის და სხვათა გვერდით დიდი აღმავლობით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენი ქალები.

კარგი შედეგი აჩვენა ქართველმა ბადროსმტყორცნელმა ლამარა ტულუშმა, მან ბადრო 51,61 მეტრზე ტყორცნა. ლამარამ პირველობა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს და მსოფლიოში უძლიერეს ბადროსმტყორცნელს ნინო პონომარიოვას დაუთმო.

კვლავ ისახელა თავი ახალგაზრდა ნიჭიერმა მოჭადრაკე ქალიშვილმა, სპორტის ოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა. მან მისთვის „ჩვეული“ გამარჯვებების რეკორდი დაამყარა ამ ტურნირშიც (რვა მოგება, 8,5 ქულა 9 შესაძლებელიდან.)

ორი — ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა თბილისელი მოცურავე ქალიშვილი რიმა არკადიევა. მისი შედეგი 400 მეტრზე მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩება სპორტის ოსტატის სანუკვარ ნორმას.

ყველაზე დიდ წარმატებას მეორე სპარტაკიადაზე მიაღწია ჩოგბურთელმა ქალიშვილმა ირინა რიაზანოვამ, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენ ქალთა შორის ერთადერთმა მოიპოვა ოქროს მედალი (ქალთა წყვილში).

საქართველოს წარმომადგენელთა წარმატება უდავო იყო ამ ასპარეზობაზე. ჩვენმა გუნდმა განმეორებით მოიპოვა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე V საპატიო ადგილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ზარი

შუა იმერეთი, ორკუზიან სერზე შეყუჟული პატარა სოფელი ფუთი... ფიცრული, აივნიანი ოდებით. სოფლის თავში სამი მრავალქამიერი მუხა, დინჯი, ტოტებმძიმე. სოფლის შუაში წნული ღობე, ღობის იქით მწვანიანი ეზო, ეზოში ჭურისთავი, ჭურისთავზე ქვის მაგიდა, ორშიმო და საწნახელი, ბიებით, ბროწეულებით, თხილებით ნაჩრდილი. ბიის ძირში უპატრონოდ მიგდებული სამგოგრია და ჯოხის ცხენი.

— მთლად გაგარეულდა ეს ბავშვი, — თავს აქნევს უკმაყოფილოდ დედა.

«გაგარეულებული» შავფეხა ბიჭი სკოლის ეზოშია. ეზოში წერწეტა გუნდის ხე დგას, ხის პირდაპირ პირველი კლასის ფანჯრებია. ფანჯრებს იქით მასწავლებელია და ბავშვები. გოგია ვერავის ხედავს, ხეს მიყრდნობია, ყური გაუმახვილებია და ხარბად იჭერს ფანჯრიდან წამოსულ ყოველ სიტყვას.

— ვინ მეტყვის, რა ხატია ამ სურათზე?— ესმის ანიკო მასწავლებლის შეკითხვა და ავთანდილ ქათამაძის ბიჭის, ამირანის პასუხი:

— ბავშვები სკოლაში მიდიან.

— როგორია სკოლა?

— სკოლა ახალია, ორსართულიანი, — ეს წრიპინა ხმა ლილი ქათამაძის უნდა იყოს, გოგიას ბიძაშვილის...

— ჩვენი სკოლა იმაზე ახალია, ხომ მასწავლებელო?—დინჯად შენიშნავს ლევან ქათამაძის ბიჭი.

— ჩვენი ყველაზე ახალია, — სასწრაფოდ ადასტურებს დალი, გოგიას ბიძაშვილი. მთელი ქათამაძეები იქ არიან, შინ მარტო გოგია დარჩა. რათა? რისთვის? ექვსი წელი ცოტაა? ამირანი ამას წინათ არ წააქცია? ჭიდაობაში თუ მოერია, წიგნი რაღაა?—გულს ასკდება «დაჩაგრული» ბიჭი.

— ცხადია ყველაზე ახალია,—ესმის გოგიას მასწავლებლის ნათქვამი.—სულ ახალია, ორიოდე კვირისაა. ხომ არავინ იცის, ვინ ააშენა ჩვენი სკოლა?

— კოლექტივმა.

— თავმჯდომარემ შალვა სარალიძემ,—გაიძახიან აქეთ-იქიდან.

— კიდევ?

— კოლმეურნეებმა: შალვა პერანიძემ, ირაკლი ჩიტორელიძემ, არტემ მუმლაძემ.

— კიდევ?

— მოსწავლეებმა: კირილე ლეჟავამ, რომან თუთბერიძემ, დარეჯან მოდებაძემ, მაგული ხატრიძემ, თამაზ პირველაშვილმა, ყველამ— დიდმა და პატარამ, მთელმა სოფელმა. ძველი სკოლა ხის იყო, პატარა. ბავშვები დილით და შუადღისას დადიოდნენ. ახალი სკოლა თუმცა ისეთი არაა, როგორც წიგნში ხატია. იგი ერთსართულიანია, უბრალო, შეულესავი, მაგრამ აგურისაა, დიდია, ყველას იტევს. ბავშვები ახლა მარტო დილაობით დადიან.

ზუზუნებს კლასი, ყველას უჩნდება სათქმელი, ყველამ რაღაც იცის.

— ადექით!—ბრძანებს მასწავლებელი.

კლასი ნელნელა დგება. ზუზუნი წყდება.

— დასხედით! ადექით! ტაში, კიდევ! კიდევ!

«ეს რაღა თამაშია?»—თვალები უფართოვდება ხის ძირას მყოფს, შიშველი ფეხის ცერებზე დგება, მაგრამ ვერაფერს ხედავს. მერე ერთი შეტრიალდება და მიცოცავს. ხეს არცერთი როკი არა აქვს, ჭოკივითაა, არც ფეხი ეკიდება, არც ხელი. მთლად ერთიანად იძაბება ბიჭი. ოფლი ასკდება, იწურება. მაგრამ მხოლოდ ორიოდე ნაბიჯით ინაცვლებს. აქედან მასწავლებლის თავი მოჩანს. სხვა არაფერი. მთელ ღონეს იკრეფს, ცოტაზე კიდევ მაღლდება, თან თვალს არ აშორებს ფანჯრებს. ანიკო მასწავლებელი გვიან ამჩნევს. გოგია უცინის, მასწავლებელიც უცინის და თითს უქნევს!

— ახლა ვიმღეროთ!—ამბობს მასწავლებელი



ფოტო შ. ძრჩვაძის

და სათითაოდ ეკითხება, ვის რა სიმღერა ემარჯვება. «რა ადვილი ყოფილა სწავლა, რა ადვილი! განა გოგია ვერ გამოიცნობს ნახატებს, ვერ იტყვის ლექსს, ვერ იმღერებს? თუნდ აი, ახლავე დაიწყებს. აქედან, ამ ხიდან».

მაგრამ მეტი აღარ შეუძლია, ხელისგულზე ცეცხლი ეკიდება, კისრის ძარღვები სტკივა. ნელნელა მოცურავს და მხოლოდ ხის ძირას ახერხებს ხმის ამოღებას: «ვარდს გაეფურჩქნა კოკორი»...

ზარი ირეკება. ეზო ბავშვებით ივსება. ქრიამულობენ, ყიჟინობენ. გოგიას სცხვენია. ბავშვების თვალს გაურბის. მაინც ხვდებიან. ელგუჯა სარალიძე, ვალოდიას ბიჭი, ანუგეშებს: მეც შენსავით დავდიოდი შარშან. რამდენიმე დღე კლასშიც ვიჯექი. «საათამდე» კითხვაც ვისწავლე. მაგრამ მაინც არ გამაჩერესო. კამფეტის ფულით რვეულებს და ფანქრებს ვყიდულობდი. შინ დარჩენილი ჩუმით ვბეჯითობდი მაინცო.

მათ მეორე ელგუჯა უერთდება. ისიც ურჩევს, შინ წადი. დედას მიეხმარე. შენზე ნაკლებად როდი მიყვარდა სკოლა, მარა მასწავლებელს რომ დავინახავდი. ღობეებს ვეფარებოდი, სკოლის ეზოში ფეხი არ ჩამომიდგამს, სანამ არ მიმიღესო.

მართალს გეუბნებიან,—იცინის სირაძე. გოგიას არ ახსოვს მისი სახელი. სირაძეები მოშორებით ცხოვრობენ და იშვიათად ხვდებიან ქათამაძეებს. ცნობით კი იცნობს, ერთი უჯიათი და უჯერი ბიჭია, ჩხუბისთავი, თუმც ტანად ასე მოლეულია... ბედად შესვლის ზარი ირეკება, საუბარი წყდება.

გოგია ერთხანს დგას. მერე ერთბაშად ცოცხლდება, კედელ-კედელ გარბის. სკოლის დერეფანში უჩუმრად შესრიალდება და პირველი კლასის კარებთან შეჩერდება. აფსუს!—ერთი ჭუჭრუტანაც არაა.—და იმედგაცრუებულს კაცური ნაღველი აღბეჭდება სახეზე.

— აი ია,—ისმის კარს იქიდან.

ჩაიმუხლებს, ლოყით ეწებება კარს, ასეა, სანამ დერეფანში რაღაც გაიხმაურებდეს. მაშინ კი სწრაფად წამოხტება. უნებურად ეჯახება და კარი ოდნავ იღება. მოულოდნელად გახარებული ბიჭი სიფრთხილისათვის ჯერ მაინც დერეფანს გაჰხედავს. სამასწავლებლოში სკოლის დირექტორი რუბენ თუთბერიძე შედის.

გულდამშვიდებული კარის ღრიჭეში იხედება. მასწავლებელს მისი ბიძაშვილი ლილი ქათამაძე გაუძახებია. ლილი თითს აცურებს დაფაზე და კითხულობს:

— ააა...

— იიი...

— აი ია, აი ია.

გოგია თვალებს ხუჭავს და ტუჩებით უხმოდ იმეორებს: აი ია.

ბიის ძირში ბიჭს ამაოდ ელოდება უპატრონოდ მიგდებული სამგოგრია.

მერე ისევ ზარი, ისევ ქრიამული უბრალო, ერთსართულიანი სკოლის შენობის წინ.

**ე. ნიკოლაიშვილი**

იცნობდეთ—შვიდწლედისათვის მებრძოლებს

# დები

ნელი ნაბიჯით მიდიოდა ელენე გეგელაშვილი კომბინატისაკენ. ღრმა ფიქრებს გაეტაცნა, მოუსვენარი ქარი თმას უწეწავდა, მაგრამ ქალი მის გარშემო ვერც ბუნებას ამჩნევდა და ვერც ადამიანებს. მთელი მისი არსება ვიშნი ველოჩეკის ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადირის ვალენტინა გაგანოვას საგმირო საქმეებს გაეტაცნა. ვალენტინა ნებაყოფლობით გადავიდა სამუშაოდ ჩამორჩენილ ბრიგადაში, სადაც ნაკლებ ხელფასს მიიღებს, მაგრამ, რაც მთავარია, ჩამორჩენილებს დაეხმარება და საქმეს წინ წასწევს. ელენემ მოიგონა, თუ რა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე გაგანოვას თაოსნობას: «ამ ადამიანის საქციელის დიდი ფასი და კეთილშობილება ის არის, რომ მას ეს ნაბიჯი გადაადგმევინა არა მატერიალურმა დაინტერესებამ, არამედ იდეამ, იდეურმა ერთგულებამ კომუნისტური წყობილებისადმი»...

ელენეც მოწინავე ბრიგადირია და მის გვერდითაც არიან ჩამორჩენილი ბრიგადები, მასაც ხომ შეუძლია გაგანოვასებური საქმის გაკეთება? გონების თვალით სინჯავდა, ზომავდა და წონიდა ელენე ადგილობრივ ვითარებას, მომავალს.

— მეც ამ გზას უნდა გავყვე. დღესვე განვუცხადებ ამხანაგებს, ხელმძღვანელებს, მთელს კოლექტივს,—დაასკვნა გეგელაშვილმა და ნაბიჯს აუჩქარა.

ელენეს ჩვეულებრივი ხმაურით შეხვდნენ ნაცნობი სართავი მანქანები. მისმა ბრიგადამ ამ დღესაც 140 პროცენტით შეასრულა დავალება, ქალი მაინც არ კმაყოფილდებოდა, ღელავდა, თავს ვალდებულად თვლიდა დახმარებოდა ა. რუმიანცევას ბრიგადას, რომელიც დავალებას ვერ ასრულებდა და ივნისში 300 კილოგრამი ნართი, ე. ი. დაახლოებით 3000 მეტრი ხამი ქსოვილი დააკლო საწარმოს.

— ეს არც ისე ადვილია,—ფიქრობდა ელენე,—სიძნელეები იქნება მაგრამ უნდა გადავლახო.

როცა კომბინატში ელენეს ჩანაფიქრი გაიგეს, უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი, რადგან მის მომავალ წარმატებებში ეჭვი არავის შეუტანია. კომბინატის ხელმძღვანელობა, მთელი კოლექტივი კარგად იცნობდა ელენეს შრომით ბიოგრაფიას. იგი ხომ ერთ-ერთი პირველი მოვიდა სართავ ფაბრიკაში და უძნელეს პირობებშიც კარგად მუშაობდა. როცა მანქანები ამუშავდა, ფაბრიკა ჯერ კიდევ მოუთავებელი იყო: კედლები შენდებოდა, ირგვლივ მშენებლობის ხერგი ეყარა, ქარი და ყინვა თავისუფლად დანავარდობდა. ელენე და მისი ამხანაგები მანქანებთან ანთებდნენ ცეცხლს და ისე თბებოდნენ, მაგრამ გეგმის შესრულებისათვის მაინც შეუპოვრად იბრძოდნენ...

მრთველის პროფესიის დაუფლებას 6 თვე მაინც სჭირდება, მაგრამ ბეჯითი მოწაფის მიღწევებით ისეთი კმაყოფილი გახდა ელენეს პირველი მასწავლებელი მარია კალამაიცევა, რომ ახალგაზრდა გოგონა ორი თვის შემდეგ ბრიგადირად გადაიყვანეს და ოთხი სართავი დაზგა ჩააბარეს, ხუთი მრთველისა და ოთხი ჩამომხსნელის ხელმძღვანელობა მიანდეს. ქალიშვილმა იმედი გაამართლა, ბრიგადა გამომუშავების ნორმებს წარმატებით ასრულებდა. სწორედ ეს მოაგონდათ ახლა კომბინატის მუშაკებს და ელენეს, როგორც ნაცად ფეიქარს, ხელი შეუწყვეს ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ვალენტინა გაგანოვასთან, საქართველოში გაგანოვას მიმდევართა რიგებში ჩამდგარიყო.

მხარდაჭერით გახალისებული ქალი მაგიდას მიუჯდა. «ძვირფასო მეგობარო!—წერდა ის გაგანოვას,—შესანიშნავი პატრიოტული თაოსნობის ამბავმა, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ, მოაღწია შორეული ვიშნი ველოჩეკიდან ჩვენამდე—გორის ბამბეულის კომბინატის მშრომელებამდე და აღგვაფრთოვანა»... ელენე სულითა და გულით ულოცავდა ვალენტინას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭებას და აცნობდა თავიანთ მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, თავის გადაწყვეტილებას, და ბოლოს სწერდა: «თქვენთან მეგობრობა, თქვენი გამოცდილების გაზიარება დამეხმარება სიძნელეების დაძლევაში. ბევრი რამ არის კარგი ჩვენს მუშაობაშიც. დაე, ეს ბარათი იყოს ჩვენი საწარმოების კოლექტივებს შორის—გორის და ვიშნი ველოჩეკის ფეიქრებს შორის—დიდი მეგობრობის დასაწყისი».

გულისფანცქალით ელოდა პასუხს ფეიქარი ქალი და მალე გორელმა მუშებმა მიიღეს ვ. გაგანოვას წერილი, რომელშიც ბევრ ძვირფას გამოცდილებას უზიარებდა ახლადშეძენილ დობილებს. «მახარებს, რომ თქვენი სახით მახლობელი ადამიანები შევიძინე მზიურ საქართველოში, გორში,—წერდა დასასრულ ვალენტინა,—ყოველთვის მქონდა თქვენთან შეხვედრის დიდი სურვილი. ეს ჩვენ დაგვეხმარება წინსვლა—



მარჯვნიდან მარცხნივ—თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვი წარმოების ქვეოსტატი შ. მაღულარია, თბილისის მაუდ-ვამვოლის კომბინატის მეთერთმეტე ბრიგადის მქსოველი ე. ხალიმანოვა, გორის ბამბეულის კომბინატის სართავი საამქროს ჩამომხსნელი ბრიგადების ხელმძღვანელები დ. ხაჩიძე და ე. გეგელაშვილი ეცნობიან ბრძანებულებას ვალენტინა გაგანოვასათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

ფოტო გ. გოგოხიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, დაგვეხმარება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, დიადი შვიდწლედის განხორციელებაში. ქართველ ფეიქრებს ვუსურვებ დიდ წარმატებებს. გეხვევით, როგორც ჩემს ძვირფას მეგობრებს, ჩემს საყვარელ დებს».

ნოვატორის წერილმა დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია არამარტო გორის ბამბეულის კომბინატში, არამედ მთელს ჩვენს რესპუბლიკაშიც.

გეგელაშვილმა ჩამორჩენილ ბრიგადაში გადასვლისთანავე გააცნო ბრიგადის წევრებს გაგანოვას მეთოდი, დიდი ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა, ზუსტად გაანაწილა დავალებები, იზრუნა ყოველი წუთის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, მანქანების სრული დატვირთვისათვის, მუშათა დახელოვნებისათვის. განსაკუთრებული დახმარება დასჭირდათ მრთველებს: ხაჩიკოვას და ბურდაკოვას, რომელთაც უძნელდებოდათ გამომუშავების ნორმების შესრულება...

მუშაობენ მანქანები, ადამიანები. ელენე თავს დასტრიალებს მათ, ფთილებს ასწორებს, მანქანებს ასუფთავებს, მრთველებს ეშველება, ჩამომხსნელებს ხელს უწყობს, ასი თვალი და ყური აქვს, რათა არსად დაუშვან შეფერხება, საქმე წინ წავიდეს, რომ ეს ბრიგადაც აიყვანონ მოწინავეთა დონემდე. და მართლაც, აგვისტოს პირველ რიცხვებში გეგელაშვილის ბრიგადა უკვე 107-108 პროცენტით ასრულებდა დავალებას და იბრძოდა გეგმის 140 პროცენტით შესრულებისათვის.

ელენე გეგელაშვილს არაფერში ჩამორჩება სიცოცხლით სავსე ქალიშვილი დუშა ხაჩიძე. ისიც კომბინატის დაბადების დღიდან ჩაება მის მჩქეფარე ცხოვრებაში. ორ თვეში აითვისა პროფესია და პირველი კომპლექტის მეორე ბრიგადის ხელმძღვანელი გახდა. ეს ბრიგადა თავიდანვე მოწინავეა. 1955 წლიდან დუშა პირველი უბნის მეხუთე ბრიგადას უძღვება და გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებს. ამხანაგებს უყვართ იგი, საპატიო დაფას არ შორდება მისი სახელი.

გაგანოვას მაგალითისამებრ დუშა ხაჩიძემაც მიაშურა ჩამორჩენილ პირველი უბნის მეოთხე ბრიგადას, რომელმაც ივნისში დავალება 98,1 პროცენტით შეასრულა და საწარმოს 700 კილოგრამი ნართი, ე. ი. 7 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი დააკლო. დუშამ საქმე ორგანიზატორული მუშაობით დაიწყო. პატრიოტი ქალიშვილი ენერგიულად რაზმავს თავის ბრიგადის წევრებს და ეხმარება პროფესიულ დაოსტატებაში. ახლა მისი ბრიგადა უკვე 107 პროცენტით ასრულებს დავალებას. ზრდის შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის ხარისხს. მისით ამაყობს პატარა ლამაზი ქართული სოფელი ნაცარგორა, კოლმეურნე მშობლები—თედორე და შუშანა ხაჩიძეები. და არა მარტო ისინი...



ვიშნი ველოჩეკის ბამბეულის კომბინატის ხართავი ფაბრიკის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვალენტინა გაგანოვა.

* * *

ჯარისკაცებივით ჩამდგარან მწყობრში სართავი მანქანები. რიტმულად, შეწყობილად მოძრაობენ თითისტარები, მრთველები და ჩამომხსნელები. «აქ მუშაობს დუშა ხაჩიძის ბრიგადა», «აქ მუშაობს ელენე გეგელაშვილის ბრიგადა»—იკითხება წარწერები წითელ ტილოზე.

ტკბილი ძილით ძინავს საქვეყნოდ ცნობილ ქალაქს. ფხიზლობენ კომბინატში, ფხიზლობენ ნოვატორები და მათი ბრიგადის წევრები...

მტკვრისა და ლიახვის შესართავთან გადაშლილა გორის ეს სამრეწველო უბანი—ბამბეულის ვეებერთელა კომბინატი. უთვალავი საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. აქ ხომ ტრიალი მინდორი იყო! რა სწრაფად გაზრდილა ხეები, როგორ დამშვენებულა ახალი ქუჩები ლამაზი ყვავილნარებით.

...რიტმულად და ომახიანად ხმაურობენ მანქანები. გეგელაშვილისა და ხაჩიძის მხარდამხარ თავდადებით შრომობენ ათობით მოწინავენი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბრიგადირი მარიამ გემიაშვილი 140 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებას, მეხუთე ბრიგადის მოწინავე მრთველი, კომუნისტი ელენე კიპაროიძე კი—150 პროცენტით. გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ ციალა ნოზაძე და ნატალია გვარამაშვილი, გაგანოველთა რიგებში ჩადგნენ სახელოვანი ქვეოსტატები დიმიტრი მამუკაშვილი და ვიქტორ ჩილაშვილი.

კომბინატში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება ახალი მოძრაობა, რომლის მიზანია ჩამორჩენილების მოწინავეთა დონემდე აყვანა. ამ მოძრაობის პირველ წარმატებებზე მკაფიოდ მეტყველებენ წლევანდელი მაჩვენებლები: კომბინატმა გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულა და 6 მილიონ 359 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს გეგმის ზევით. შვიდწლედის ფონდში უკვე 700 ათასი მანეთია შეტანილი. გაგანოველთა მოძრაობის გაჩაღებამდე კომბინატში 3 ბრიგადა ვერ ასრულებდა დავალებას. მოწინავე ბრიგადირების ჩამორჩენილ ბრიგადებში გადასვლის შედეგად ახლა ყველა ბრიგადა 100-ზე მეტი პროცენტით ასრულებს გეგმას, იბრძვიან იმისათვის, რომ საწარმოში არ იყოს არცერთი ჩამორჩენილი ბრიგადა. არცერთი ჩამორჩენილი ფეიქარი. კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის გეგმა 21 დეკემბრისთვის შეასრულოს.

კომბინატის პირდაპირ დგას გორის ისტორიული ციხე—ქართველთა ვაჟკაცობისა და გმირობის სიმბოლო. წარსული რომ შემოუნახა ჩვენს თაობას, ამაყად რომ გაჰყურებს მომავალს და ქვეყნის გამარჯვების ამბებს ისმენს.

**ევგენია ხუნდაძე**

## 25 წელი მიკროსკოპთან

# სადაც ერთი მუხა იდგა

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს წყალტუბო თეთრი ფიქალისაგან ნაგები უამრავი სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით, მარმარილოს აბაზანებით, ულამაზესი პარკებითა და მწვანეში ჩაფლული ქუჩებით, ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა ·წყალტუბოელ თეთრხალათიანთა მზრუნველობის ქვეშ, ძნელია დაიჯეროს, რომ 1932 წლისთვის აქ მხოლოდ ერთადერთი მუხა იყო და თუთების მწვანე ხეივანი დანგრეული ესტრადით... ერთი სანატორიუმი, ერთი სასტუმრო და პოლიკლინიკის შენობა...

პოლიკლინიკა ახლაც იმ შენობაშია. წინ პავლოვის ქუჩა ჩაუდიოდა. ასე ერქვა იმ ატალახებულ ბილიკს... მეორე მხარეს ადგილობრივ მცხოვრებთა ქოხები... ეს იყო და ეს.

მოტიტვლებულ დაბას ზაფხულში სიცხის ბუღი ალრჩობდა, წვიმიან ამინდში ფეხით უნდა გაგეტოპა ტალახში... ხოლო ტბა თუ ადიდდებოდა, სიარული მაშინ სულ შეუძლებელი ხდებოდა.

ასეთი იყო წყალტუბო, როცა 1932 წლის ზაფხულის ერთ წვიმიან დღეს ახალგაზრდა ექიმების ჯგუფი პოლიკლინიკის შენობას მიადგა. მაშინ კამპანიები ტარდებოდა კურორტების აღორძინებისათვის, ამზადებდნენ სპეციალურ კადრებს. თინა ვარდოსანიძე ამ სპეციალური კადრების პირველ ნაკადში იყო. გამოუყვეს ოთახი. ორ საწოლზე ოთხი იძინებდა: ელენე მეტეხელი, სალომე ყიფიანი, ეკატერინე ჩიქინგარიშვილი და თინა. ამ ახალგაზრდა ექიმებს უნდა ჩაედგათ სული კურორტისათვის.

თინა ლაბორატორიის ჩამოყალიბებას შეუდგა. ხელსაწყოების შოვნა არ გასჭირვებია. დამხმარე და კონსულტანტიც იქვე აღმოჩნდა: წყალტუბოში კურორტოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიცია მუშაობდა ექიმ გიორგი წითლანაძის მეთაურობით. საჭირო რჩევებს თინა ამ ექსპედიციის წევრებისაგან იღებდა, თან წითლანაძის ლაბორატორიას არ სცილდებოდა... ბევრი რამ გაიგო, მუშაობასაც შეეჩვია.

ვერ იტყვის, რომ სამუშაო არაჩვეულებრივად საინტერესო იყო — ავადმყოფების სისხლის, ნაღვლის და კუჭის წვენის მიკროსკოპში გასინჯვა...

ერთის, ორის... ათასის...

მაგრამ იმის რწმენამ, რომ დიდ საქმეს აკეთებდა, შეაყვარა ლაბორატორია და მიკროსკოპი.

1933-34 წლებში თინა შეთავსებით მუშაობს I სანატორიუმში. მისი ინიციატივით ეწყობა კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალის კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორია.

გადის წლები...

თინას უკვე აღიარებენ როგორც კარგ კლინიცისტს.

სადღაც მიღმა დარჩა განაპირა ოთახი მეორე სართულზე... ახალგაზრდული ოცნებები... იმერული გიტარა და კვირაობით პატარა ტბაზე ნავით სეირნობა.

მოულოდნელად ახალგაზრდა ინჟინრის გაცნობა და პატარა ქორწილი... პირველი შვილი...

მერე ომი დაიწყო. სანატორიუმები ჰოსპიტლებად გადაკეთდა. წყალტუბო დიდ საავადმყოფოდ იქცა.

თვეები თვეებს მისდევდა.

მიკროსკოპთან თენდებოდა ღამეები. საფეთქლებთან პირველი ჭაღარა გაჩნდა.

მერე გამარჯვებები გამარჯვებებს მოჰყვა. 1945 წლის 16 იანვარს თინა დააჯილდოვეს მედლით «კავკასიის დაცვისათვის». ომი რომ დამთავრდა, ერთხელ კიდევ მოიგონეს ხუთი წლის განმავლობაში გასწორებული დღე და ღამე: თინამ მეორე მედალი მიიღო — დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის.

წყალტუბო ჩვეულებრივ ცხოვრებას მიეცა.

ისევ მიკროსკოპი და უჩინარი პაციენტები... ლაბორატორია გაადიდეს, მუშაკები დაუმატეს: სამი ექიმი და ოთხი ლაბორანტია ახლა თინას განკარგულებაში.

წყალტუბოს პოლიკლინიკას ერთ დღეს საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომისია ესტუმრა. სისუფთავემ, გემოვნებით მოწყობილმა მოსაცდელმა ოთახებმა, საექიმო პერსონალის გულისხმიერებამ კომისია მოხიბლა, თინა დააჯილდოვეს დიპლომით — «ჯანდაცვის ფრიადოსანს».

შემდეგ წლებში, დოცენტ მ. ტყემალაძის მეთაურობით, სხვა ექიმების ჯგუფთან ერთად იგი მუშაობდა საკითხებზე: კანის მინერალური მიმოცვლის დინამიკა წყალტუბოს რეაქტიული აბაზანების გავლენით და ნევრასტენიული ავადმყოფების მკურნალობის შედეგები წყალტუბოში.

კლინიკურ ანალიზებს მხოლოდ თინა აკეთებდა.

კარგი ექიმის სახელს ძნელად თუ შეედრება რამე: ლაპარაკობენ თერაპევტებზე, ქირურგებზე, პედიატრებზე... კლინიცისტებზე — იშვიათად. არავინ იცის, სადღაც, რომელიღაც ლაბორატორიაში თუ რა კეთდება, ეს უჩინარია და პაციენტებისათვის მეორეხარისხოვანი. ლაბორატორია რაღაც მექანიზმად წარმოუდგენიათ.

მაგრამ თინა ონისიმეს ასულ ვარდოსანიძეს იცნობენ წყალტუბოში, მას არც არავინ მოურჩენია პირადად, არც არავინ უხსნია სიკვდილისაგან საკუთარი ხელებით, მაგრამ იცნობენ.

უნახავთ შავგვრემანი, თითქმის სულ მთლად ჭაღარა ქალი, მკაცრი და სამართლიანი, ერთ-ერთი ექიმი იმ ნაკადიდან, რომელმაც წყალტუბოს აღორძინებას ჩაუყარა საფუძველი.

ეწვევით წყალტუბოს? შეიარეთ პოლიკლინიკაში... მეორე სართულზე, განაპირა ოთახში თინა ვარდოსანიძის სამუშაო კაბინეტია. ოდესღაც აქ ახალგაზრდა ექიმებს პირველი სახელდახელო ოჯახი ჰქონდათ მოწყობილი. თავს ურჩევნია თინას ეს ოთახი და ის მყუდრო კუთხე ხელმარჯვნივ ფანჯარასთან, სადაც მისი საწოლი იდგა. ახლა ფანჯარა პარკს და ყვავილნარიან ქუჩას გადაჰყურებს...

**ცისანა ჟორჟოლიანი**



## წყლის სასწაულმოქმედებაა თუ...

შავთვალწარბა, შავგვრემანი, ტანაშოლტილი ქალი მორიდებით იღიმება და ძუნწობს თავისთავზე გვესაუბროს.

— აბა რა გავაკეთე ისეთი, რომ გიამბოთ? ავადმყოფები მუდამ მადლიერნი რჩებიან სანატორიუმით, წერილებითაც მიზიარებენ თუ როგორ გრძნობენ თავს წყალტუბოს შემდეგ, ხელახლა ჩამოდიან...

— საკმარისია, ამჯერად საკმარისი, — სიტყვას ვაწყვეტინებთ თერაპევტ ეთერ ხომასურიძეს და მთელი ყურადღება ავადმყოფზე გადაგვაქვს, უეცრად რომ შემოაღო კარი. ეთერ ხომასურიძის კაბინეტში სწორედ იმ დროს მოვხვდით, როდესაც მას ავადმყოფთა მიღების საათები ჰქონდა. ცხადია, კორესპონდენტების მისვლამ არ დაავიწყა მოვალეობა. ამ ავადმყოფს ეთერიმ წინადღეს აბაზანის მიღების უფლება მისცა, დღეს კი ქალი შესანიშნავ გუნებაზეა, გახარებულია, რომ ნორმალური წნევა აღმოაჩნდა. ეს მარტო წყლის სასწაულმოქმედება კი არ არის, არამედ ექიმისაცო, — ამბობს.

მართლაც სასწაულმოქმედია წყალტუბოს აბაზანები, მაგრამ რამდენი სიფრთხილე და პრაქტიკული დაკვირვება სჭირდება ექიმს, რომ წყალმა სასარგებლო შედეგი გამოიღოს.

სწორედ ამიტომ არის, ეთერ ხომასურიძე უჩვეულო სიფრთხილით რომ ადგენს ყოველი ავადმყოფის მკურნალობის გრაფიკს და როგორც ვთქვით, არ ყოფილა შემთხვევა, ვინმე უკმაყოფილო დარჩენილიყო. აქ იმდენად ხშირია მწოლიარე ავადმყოფის შინ საკუთარი ფეხით წასვლა, რომ ერთეული შემთხვევების დასახელება კიდეც ჭირს. ექვსი წელია, რაც ეთერი წყალტუბოს მეოთხე სამმართველოს სანატორიუმში მუშაობს, სადაც ჰიპერტონიით დაავადებულებს მკურნალობენ.

დაკვირვება და სიფრთხილე მართებს აქაურ ექიმს, რომ მკურნალობა ნორმალურად წარიმართოს. ეთერი უკვე გამოცდილია ამ საქმეში და ავადმყოფებსაც საოცრად სჯერათ მისი.

... კიდევ შემოვიდა ავადმყოფი ექიმთან. მას მოერიდა უცხო ადამიანების, მაგრამ ექიმის საქმიან ტონს ველარ გაუწია წინააღმდეგობა. ეს ტონი გულთბილი იყო, ადამიანური. ექიმმა დაწვრილებით გამოჰკითხა — გრძნობს თუ არა ტკივილებს მარჯვენა ხელის კუნთში, ხომ აღარ უჩივის ხელის უმოძრაობას, ძილი როგორი აქვს, და ყველაფრით კმაყოფილი დარჩა. ურჩია მომავალ წელსაც ჩამოსულიყო.

შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი წერია ეთერზე. «მანდ სულ [illegible] ხოტბა» — კიდევაც ხუმრობენ ექიმის ამხანაგები. აი ერთ-ერთი მათგანი:

«ექიმ ეთერ ხომასურიძის მუშაობა წყალტუბოს სანატორიუმში სამაგალითო და სანიმუშოა. იგი მაქსიმალურად ყურადღებიანია ავადმყოფის მიმართ, საფუძვლიანად სწავლობს მის მდგომარეობას, რათა ზუსტი დიაგნოზი დასვას. მკურნალობისას თამამია მაშინ, როცა დარწმუნებულია თავისთავში, ხოლო ფრთხილი, თუკი რაიმე საეჭვო აღიძვრება დადებითი რეზულტატის მიღებისას. ყოველივე ეს საოცრად ეთანხმება მის უაღრესად ხალას ადამიანურ ღირსებებს: მზრუნველობას, გულითადობას, სიფაქიზეს».

ექიმს მოსდის წერილები მოსკოვიდან, მინსკიდან, ოდესიდან, დნეპროპეტროვსკიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან, ემადლიერებიან განკურნებისათვის, კვლავ რჩევას თხოვენ. მისი ავადმყოფია ფრანგი მეტალურგი ნენიგ ჟანი, რომელსაც ევროპის ყველა კურორტი მოუვლია, მაგრამ უშედეგოდ აქ, წყალტუბოში ჩამოსვლის შემდეგ ჯოხი გადააგდო და სრულიად გამოჯანსაღებული წავიდა. ფრანგი მეტალურგი სამშობლოდან ყოველ დღესასწაულზე მილოცვის დეპეშებს და ღია ბარათებს უგზავნის ექიმს, ატყობინებს, რომ ჯანსაღად არის.

ეს ექიმისთვის ყველაფერია.

**ნანა ლვინეფაძე**


წყალტუბო. მეშახტეთა სანატორიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**1959 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვარშავასა და თბილისში იხსნება ქართული და პოლონური კულტურის დღეები. ამასთან დაკავშირებით ვბეჭდავთ პოლონელი მწერლის ვაცლავ გრუბინსკის ნაწარმოებს.**

# [illegible] უკანასკნელი ზღაპარი

ვაცლავ გრუბინსკი

ვაცლავ გრუბინსკი, თანამედროვე პოლონელი ნოველისტი და დრამატურგი, დაიბადა 1883 წელს.

თავისი ლიტერატურული შემოქმედება მან ძირითადად მეშჩანური, ცრუ მორალის მხილებას მიუძღვნა. მისი შემოქმედების მთავარ პრინციპს წარმოადგენს ადამიანისადმი სიყვარული. მართალია, მწერალი ცხოვრებას მეტწილად იდეალისტურად აღიქვამს და ყოველგვარი კონფლიქტის მიზეზს თვით პიროვნების შინაგან ბუნებაში ეძებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან არა ერთი და ორი რეალისტური ნაწარმოები მოგვცა, რომლებიც სწორად ასახავენ პოლონეთის მოსახლეობის ზოგიერთი წრეების ყოფაცხოვრებას ძველი და ახალი ეპოქის მიჯნაზე.

ნ ო ვ ე ლ ა

მრგვალ მაგიდას სამნი შემოსხდომოდნენ. დიდ საშობაო ნაძვის ხეს, რომელიც კუთხეში იდგა, თითქოს ცეცხლი მოსდებოდა. ის იმგვარად გაეხვიათ ოქროსა და ვერცხლის ძაფებში, რომ ოქროსფერ გრძელთმიან ქალს მოგაგონებდათ, რომელსაც გამჭვირვალე ლაბადა მოესხა. მრავალი მომცრო ელექტრონათურა ციმციმებდა მის მუქმწვანე ტოტებზე, თითქოს ბრილიანტის ქვიშა ან ვარსკვლავთა მტვერი შეეფრქვიათ მისთვის.

— შენ თვალებს ხუჭავ, იქნებ ნაძვის ხე გაღიზიანებს? — მიმართა ქმარს ოცდარვა წლის ტანადმა, წაბლისფერთმიანმა დიასახლისმა, ისეთი სასიამოვნო ხმით, რომ მის ერთ ბგერასაც კი შეეძლო სულიერი ჟრიამულის მოშუშება.

— სულაც არა! — ძიუგო ქმარმა, სახელოზე მტვერი ჩამოიფერთხა და ნაძვის ხეს თავისი ლურჯი თვალები რაღაც დაბნეული, მეოცნებე გამომეტყველებით მიაშტერა.

— ის... იცი, უცნაურია... ისე ანათებს, თითქოს რიდე ჰქონდეს ჩამოფარებული. ამ ცისფერ სინათლეს არ შეუძლია კაცის გაღიზიანება, — მან თეფშიდან თხილი აიღო და კაკლის სამტვრევს მისწვდა, — ის მთვარისას მიაგავს. მართლა, მე რომ არ მეშინოდეს, პოეტობას დამწამებენ, ვიტყოდი — ჩვენს ნაძვის ხეს ლურჯი თვალები აქვს-მეთქი.

მან თხილი სამტვრევით გატეხა. მშრალად გაიტკაცუნა ნაჭუჭმა. ზოსია და მისი ლამაზი დედაც შეუდგნენ თხილის ჭამას. მაგარი ნაჭუჭი დროდადრო ხმაურით ეცემოდა ფაიფურის თეფშებზე.

ზოსია ლამაზ სურათებიან წიგნს ფურცლავდა, თან თხილს აკნატუნებდა და ხანდახან კუთხეში მშვიდად მოციმციმე ნაძვის ხეს გადახედავდა.

გავიდა ერთი წუთი.

ცოლმა კაკლის სამტვრევი გადადო, შემდეგ სწრაფი მოძრაობით კვლავ გაიწია მისკენ. ლარნაკიდან თხილი აიღო.

— რომელი საათია, ჩემო კარგო? — ჰკითხა ქმარს.

ის არ პასუხობდა.

თხილი ხმაურით გაგორდა თეფშზე...

— ანჯეი!.. რა დაგემართა? რატომ ხარ დღეს ასეთი დაბნეული! გეკითხები, რომელი საათია-მეთქი.

ანჯეი გამოერკვა.

— მაპატიე. ჩაფიქრებული ვიყავი.

მან საათს დახედა.

— რამდენიმე წუთი აკლია. ცხრას. დრო მიფრინავს. თითქმის მთელი საათია, რაც ჩვენ ნაძვის ხე ავანთეთ. კაროლის ბიჭები კი ჯერაც არ მოსულან ზოსიასთან სათამაშოდ.

— ნეტა, სულაც არ მოვიდნენ, მამიკო. არ მინდა მათთან თამაში. დღეს აქ ისე კარგია სიჩუმეა, სიჩუმე...

პან ანჯეიმ ნაზად შეხედა გოგონას.

— გაიგონე, მარიხნა? — ღიმილით ჰკითხა ცოლს.

მარიხნამ გაუღიმა და ალერსით შეახო ხელი თავისი ერთადერთი გოგონას ფერფლისფერ თმას.

— აი, მალე მეათე წელიწადში გადადგები, შვილო, — უთხრა დედამ, — ცხოვრების მეათე გაზაფხული დაგიდგება.

ზოსიამ წიგნი გადაფურცლა.

მარიხნა გაჩუმდა, მერე ქმარს გადახედა, რომლის სახეს შერჩენოდა ჩაფიქრებული გამომეტყველება, და სთქვა:

— სამი კვირის შემდეგ, არა, ანჯეი?

ის არ პასუხობდა.

— ანჯეი! შენ ისევ არ მისმენ?

— გისმენ, მარიხნა, მაპატიე, რაღაცაზე ვფიქრობდი.

ანჯეი სავარძელში შეიშმუშნა.

— ზოსია მართალია: დღეს ჩვენთან ისეთი საოცარი სიჩუმეა, რომ რატომღაც დავიბენი. რას კითხულობ, ზოსია?

— მე არ ვკითხულობ, მამა, მხოლოდ ვათვალიერებ ნახატებს.

— მოგწონს?

— ძალიან. ოჰ, შეხედე! ამ ქალს თავს ჰკვეთენ! რა მშვენიერია! ხმალიც როგორ ელავს!

— ეგ რა წიგნია?

— «ათასერთი ღამე».

კვლავ გაიტკაცუნა დამსხვრეულმა თხილმა და ნაჭუჭი ფაიფურის თეფშზე გაიფანტა.

— ოჰო! ეს ძალიან საინტერესო ზღაპრებია! —ნაძალადევი სიმკვირცხლით სთქვა ანჯეიმ. —როცა მე მათ პირველად ვკითხულობდი, თავის დანებება არ შემეძლო. მაგრამ, შენ წარმოიდგინე, მარიხნა.—მიუბრუნდა იგი ცოლს.— პირდაპირ სასაცილოა: აქამდე არ ვიცი, როგორ მთავრდება უკანასკნელი ზღაპარი. როგორღაც ისე მოხდა, რომ ერთხელაც ვერ მოვახერხე ამ წიგნის ბოლომდე წაკითხვა, თუმც ძლიერ მინდოდა.

— დასაწყისი გახსოვს?—ჰკითხა ცოლმა.

ზოსიამ თავი ასწია.

— ძალიან კარგად მახსოვს. ერთ არაბ სულთანს ცოლმა უღალატა... ერთი სულთანი ცოლმა მოატყუა —პან ანჯეიმ სერიოზულად შეხედა ზოსიას და გაიმეორა:—დიახ, მოატყუა, სიცრუე უთხრა. სულთანი განრისხდა და ბრძანა მისი მოკვლა.

— ვისი?—იკითხა ზოსიამ, რომელსაც სიზუსტე უყვარდა.—ცოლის?

— ჰო.

— ასეთი ლამაზის!—ამოიოხრა ზოსიამ.

— ქმრებს არ უყვართ, როცა ცოლები ატყუებენ, შვილო. —სთქვა ანჯეიმ დამრიგებლური ტონით.

— ცოლებს?

— რა, ცოლებს?

— ცოლებს უყვართ, როცა ქმრები ატყუებენ?

მამამ მხოლოდ ორი წამის შემდეგ უპასუხა:

— ეს არავისაც არ უყვარს, ზოსია, მაგრამ სულთანი ხომ არ ატყუებდა ცოლებს

— რომ მოეტყუებინა, ცოლიც ბრძანებდა მის მოკვლას?

— არა,—მოუთმენლად უპასუხა მამამ გოგონას,—მხოლოდ სულთანს აქვს ამის უფლება.

— რატომ?

ამ კითხვამ ანჯეი ცოტა არ იყოს შეაშფოთა.

— გაიზრდები და მიხვდები.

— მე უკვე მივხვდი, მამა!

— მაშ, რატომღა კითხულობ?

— სულთანი ქალებს იმიტომ ხოცავდა, რომ ის მამაკაცი იყო და მათზე უფრო ღონიერი,— დიდი ამბით განაცხადა ზოსიამ.

პანი მარიხნამ გადაიკისკისა, გაიცინა ანჯეიმაც... ცოტა შეგვიანებით.

ზოსიაც გამხიარულდა.

ანჯეი განაგრძობდა:

— აი, მას შემდეგ იყო, სულთანმა რომ გადასწყვიტა ცოლი მხოლოდ ერთი დღეღამით შეერთო, მხოლოდ ერთი დღეღამით.

— ეს როგორ?

— ის ცოლს ირთავდა შუადღისას, ხოლო მეორე დღეს, ინათებდა თუ არა, მის ახალ ცოლს თავს ჰკვეთდნენ.

— იმიტომ, რომ ის ატყუებდა?

— არა, ის ვერ ასწრებდა მის მოტყუებას. სულთანი ცოლს იმიტომ სჯიდა, რომ ცოლს არ შესძლებოდა მისი მოტყუება.

ზოსია ცოტახნით ჩაფიქრდა და მერე იკითხა:

— მერე რა მოხდა?

— მერე? მერე გამოჩნდა ვეზირის ერთი ქალიშვილი, რომელმაც გადაწყვიტა ხელი შეეშალა სულთანისათვის ყოველდღიურად ცოლის შერთვასა და მოკვლაში. და აი, ის ცოლად გაჰყვა სულთანს. მას შეჰერეზადა ერქვა. და ღამე შეჰერეზადამ სულთანს ზღაპრის მოყოლა დაუწყო. უყვებოდა დილამდე, დამთავრება კი ვერ მოასწრო. სულთანს თვალები ელულებოდა, მაგრამ ისე უნდოდა ზღაპრის დასასრული მოესმინა, რომ შეჰერეზადას დასჯა მეორე დღისთვის გადადო.

გავიდა დღე, დაღამდა. მთვარე რომ ამოვიდა, შეჰერეზადამ განაგრძო თავისი ზღაპარი, მაგრამ ისევ ვერ მოასწრო დამთავრება გათენებამდე. ზღაპარი ისეთი საინტერესო იყო, რომ სულთანმა კვლავ გააბრუნა გოლიათი ჯალათი მისი მრუდე ხმლით და გადასწყვიტა შემდეგ ღამეს მოესმინა ზღაპრის დასასრული. მაგრამ ერთი ზღაპარი ბადებდა მეორეს, და, ამგვარად, შეჰერეზადა უამბობდა სულთანს მომხიბვლელ ზღაპრებს ათასი ღამის განმავლობაში. მერე კი... აი, მერე რა მოხდა,—ეს აღარ ვიცი. ასეა, ჩემო გოგონა, არ ვიცი, და, სულთანისა არ იყოს, ძალიან კი მინდა ვიცოდე! მართლა, მარიხნა, თუ გახსოვს ამ ამბის დასასრული, მომიყევი მოკლედ, შობის ხათრით, იყავ ჩემი შეჰერეზადა.

გდანსკის ბუფეტის იქეთ, ბნელ კუთხეში, საათმა ყრუდ დარეკა. პან ანჯეიმ მოუთმენლად დახედა მაჯის საათს. შემდეგ სწრაფი მოძრაობით მოისინჯა საყელო და ჰალსტუხი, თითქოს ამოწმებდა—რიგზეა თუ არაო.

მარიხნამ შენიშნა ეს ელვისებური მოძრაობა და გაკვირვებით იკითხა:

— სტუმრებს ხომ არ ელი?

პან ანჯეიმ თითქმის ბუნებრივი ტონით მიუგო:

— სტუმრებს?! რატომ გგონია? საათს რომ დავხედე, იმიტომ?

დერეფანში ზარმა დაიწკრიალა.

— ეს ვიცუსი და სტეფანეკია!—დაიყვირა ზოსიამ, სკამიდან წამოხტა და დერეფანში გავარდა.

მაგრამ ეს მისი ბიძაშვილები არ იყვნენ. ზოსია შემობრუნდა.

— წერილია! შენი წერილია, მამა!

— ჩემი?

პან ანჯეი გაკვირვებული ჩანდა. მან უკმაყოფილოდ დახედა მისამართს, მხრები აიჩეჩა და კონვერტი განგებ ნელა გახსნა, წაიკითხა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სთქვა:

— პანი ლილისაგან არის.

წერილი, რომელიც ვითომდა გულგრილად ეჭირა პან ანჯეის თითის წვერებით, ცოლს გადააწოდა ნუშით, შავი ქლიავით და მარმელადით სავსე ბროლის ვაზის თავზე.

პანი მარიხნა თხილს აკნატუნებდა. წერილი არ აილო.

— რასა გწერს ლილი?—იკითხა მან გულგრილად.

— რასა მწერს?—თითქოს უხალისოდ იკითხა ქმარმა, კვლავ აიღო ფურცელი და თვალი გადაავლო ნაწერს. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ ის მარტო სტრიქონებს კი არ კითხულობდა, არამედ მათ შორისაც, — მწერს, რომ დღეს ძალიან მხიარული შობა აქვთ... ვახშამი მოუწყვია... ცხრა სტუმარი მიუწვევია. მარტო მამაკაცები... მწერს, რომ ძალიან კარგად გრძნობს თავს, მაგრამ სურს მეც მათ კამპანიაში მიხილოს... აი, ყური უგდე, რასა მწერს: «ჩვენ გვაკლია თქვენი ლურჯი თვალები შავ წამწამებში. დღეს აქ შეკრებილებს ყველას შავი ან თაფლისფერი თვალები აქვთ...» ჩანს, ისინი იქ ძალიან ერთობიან. ლილიმ, ალბათ, ეს წერილი ყველას წაუკითხა. შენ ის ნაზ კოცნას გიგზავნის და უმორჩილესად გთხოვს «მუსიო ანდრეს რამდენიმე საათით შევბულება უწყალობო, თუ ის მთელი დღის განმავლობაში სანიმუშოდ იქცეოდა».

სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა, რას იტყვი, მარიხნა?... —შეეკითხა ანჯეი ცოლს.

— რა უნდა ვთქვა, თუ შენ გინდა წასვლა... —გაეხმაურა ალერსიანად, როგორც ქოველთვის.

ანჯეიმ პაპიროსი ამოიღო, მაგრამ არ მოუკიდა.

— მართლაც რა იქნება, რომ ნახევარი საათით შევირბინო მათთან? პანი ლილი ძალიან თავაზიანია... ამ დილით შენ ყვავილები გამოგიგზავნა, პირდაპირ გალმერთებს. ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავს. დასწყევლოს ეშმაკმა, ის ხომ, საერთოდ, ქალებს ვერ იტანს. ახლა უარის თქმა, მე მგონია, უხერხულიც არის, არა? შენ როგორ ფიქრობ, მარიხნა? ჰო, ყველაფერს ეს აჯობებს.—წავალ. სხვა რომ არა იყოს რა, ის ძალიან ახლოს ცხოვრობს ჩვენგან. რასაკვირველია, წასვლა ჯობია. ერთი საათით, მეტს არ დავრჩები. ზოზინიც არაა საჭირო. რაც ადრე წავალ, მით უფრო მალე დავბრუნდები.

იგი წამოდგა, სავარძელი გასწია, მოღუშულ ზოსიას შუბლზე აკოცა...

უცებ პანი მარიხნამ თქვა:

— მე კი, ჩემო კარგო, შენთვის შეჰერეზადას უკანასკნელი ზღაპრის მოყოლა მინდოდა. შენ ხომ ძალიან გსურდა მისი მოსმენა, ისევე როგორც სულთანს. თუმცა, არა უშავს რა, დილით მოგიყვები, როცა პანი ლილისგან დაბრუნდები.

— მარიხნა! — წამოიძახა ანჯეიმ ვედრებით, თუმცა მის ხმაში უფრო სირცხვილის გრძნობა ჭარბობდა.

— ნუ მიდიხარ, ნუ მიდიხარ!—ქინიანად თხოულობდა ზოსია. — ახლავე გვიამბობს დედა, მეც მინდა მოვისმინო! დილით მე არ მინდა!

— კარგი, კარგი,—თავს იცავდა ქმარი და მამა და ცდილობდა სიცილით დაეფარა უხერ-



ხულობა, ვჯდები და სმენად ვიქცევი! შეჰერეზადას უკანასკნელი ზღაპარი უთუოდ მოკლე იყო, მე მასაც მოვისმენ და პანი ლილისთანაც შევირბენ, რომ ერთი ჭიქა ღვინო დავლიო. ხომ კი, მარიხნა? პატიოსნებას ვფიცავ, საშინლად მაინტერესებს იმის გაგება, რით დასრულდა ეს ფანტასტიკური ისტორია.

— მე ზარმა შემიშალა ხელი,— თქვა ცოლმა,— ზარმა და ამ მოულოდნელმა წერილმა. თუ შენ თანახმა ხარ კიდევ რამდენიმე წუთი დაჰყო ჩვენთან... ზოსია, ჩამოიღე ხელები მაგიდიდან და ნუ იკუზები, სწორად დაჯექი!

— მაშ ასე, ჩემო ძვირფასო. ათასმეერთე ღამეს... ათასმეერთე ღამეს სულთანმა ყური აღარ დაუგდო თავის ცოლის. შეჰერეზადას ზღაპარს. ათასი ღამის შემდეგ პირველად აღარ ისურვა მოსმენა. მან ხელის აწევით შეაჩერა იგი. შეჰერეზადა დადუმდა ისე, რომ წინადადებაც არ დაუმთავრებია. აი, როგორი გამგონე იყო თავისი მბრძანებლისა. თვალებში უცქერდა სულთანს, ელოდა, რას ეტყოდა იგი. პალატებში ღამის მდუმარებამ დაისადგურა გათენებამდე ჯერ კიდევ ბევრი იყო. სულთანმა სთქვა:

— შეჰერეზადა! შენი ზღაპრებიდან ყველაზე მშვენიერი შენ თვითონა ხარ. დღემდე მე მხოლოდ ზღაპრები მინდოდა. ახლა კი შენ მინდიხარ. ამდენხანს ცნობისმოყვარეობა მაჩერებდა შენთან, ახლა კი ჩემს გულში სიყვარულმა გაიღვიძა. მიყვარხარ, შეჰერეზადა!

შეჰერეზადას სახე მოეღრუბლა.

— ისე იქნება, როგორც შენ გსურს,— უპასუხა მან ქმარს.

სულთანი ნაზად მოეხვია ცოლს.

შეჰერეზადამ სულთანს საკოცნელად შუბლი მიუშვირა და წყნარად ჰკითხა:

— მაშ, შენ ამიერიდან აღარ გაინტერესებს ჩემი ზღაპრები?

— არა, მე შენ მიყვარხარ,— უპასუხა სულთანმა.

უეცრად შეჰერეზადა ატირდა. რომელი ბრძენი გაიგებს ქალის სიხარულისა და ნაღველის მიზეზს!

სულთანმა მკერდზე მიიკრა ცოლი და მოინდომა იმის გაგება, თუ რას ნიშნავდა ეს ცრემლები.

შეჰერეზადამ ცრემლმორეული თვალებით შეხედა სულთანს.

— ახლა მე ქარის ანაბარა ვარ მიტოვებული,— წაიჩურჩულა მან.

— ვერ გამიგია შენი სიტყვები, ძვირფასო!

ქალი მიეკრა მას და გადაუშალა თავისი დარდი:

— იცი თუ არა, ჩემო მწყალობელო, რა არის სიყვარული? ეს ხომ თავნება ქარია, რომელიც დღეს აღმოსავლეთისკენ მიჰქრის, ხვალ კი სამხრეთისა ან დასავლეთისკენ. იგი ცვალებადია და ჟინიანი, არასაიმედო და უჩინარი. სიყვარული ბავშვივით უგუნურია. იგი ერთი წუთის წინ გესტუმრა და შენც უცებ მოინდომე საწყალი შეჰერეზადა, რომელიც ათასი ღამე არ გყვარებია. ახლა სიყვარული შენთანაა და შენც ნეტარებით აღავსებ ჩემს ცხოვრებას, მაგრამ, შესაძლოა, შვიდი წლის შემდეგ, ან შვიდი საათის შემდეგაც კი სიყვარულმა მიგატოვოს ისევე მოულოდნელად, როგორც გეწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია. ვერავითარი ძალა ვერ დააკავებს მაგ ქარაფშუტას: ვერც ჩემი მუდარა, ვერც შენი მეფური ნება-სურვილი. მაშინ მე დავკარგავ, ჩემო მეუღლევ, შენს წყალობას ისევე დაუმსახურებლად, როგორც მოვიპოვე. მიხვდი ახლა, რა მატირებს ასე მწარედ? მე ქალბატონი ვიყავი და მონად ვიქეც. შენში ცნობისმოყვარეობის გაღვიძება ჩემს ხელთ იყო, და ეს შენს თავს ჩემს მეუფებას უქვემდებარებდა. მაგრამ აი, მოვიდა სიყვარული და მე მის მონობაში მოვექეცი. მას კი გული არა აქვს და ადამიანიც უძლურია მის წინაშე. ის ქარივით გაიქროლებს ჩვენს შორის, ის ქარზე უფრო თავნებაა, ქარიშხალზე ძლიერია, გაზაფხულის ნიავზე უფრო საამოა, წუთიერია, როგორც ოცნება. შენ გულში მიკრავ, საყვარელო, უძვირფასესო! შენ ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მთავაზობ: ეს სიყვარულმა მოიმოქმედა, მაგრამ შენ მზერას მომაშორებ, მე შენთვის უცხო შევიქმნები, თუმც სრულიად არ შევიცვლები: ამასაც სიყვარული მოიმოქმედებს. ის მოდის და მიდის. ის სტუმრად არის, სანამ სურს და გაფრინდება, როცა მოეპრიანება. ის გიჟია, ის ბრმაა, ყრუ, უსირცხვილო, ის მდიდარია, მაგრამ რეგვენი მდიდარი, განუსჯელად ფლანგავს გრძნობათა სალაროს, ხან ტალახში ამოსვრის, ხან სასახლეებში შეიყვანს, თავგზას უბნევს ახალგაზრდებსა და მოხუცებს, წმინდანებსა და ყაჩაღებს, არ აძლევს მოსვენებას თვით საფლავებსაც. ასევე დაუფიქრებლად ართმევს იგი ზოგიერთს თავის ნაბოძებ ბედნიერებას, სხვებს მიუგდებს მას, ანდა ანადგურებს, ღუპავს. იგი საშინელი სენივით მძვინვარებს ადამიანთა შორის. იწვევს ციებცხელებას, ბოდვას, ჰალუცინაციებს და როცა გაივლის (რადგან აუცილებლად გაივლის), სტოვებს სიძულვილს, მწვავე ნაღველს ან სიცარიელეს. მე სიყვარული არ მინდა. ის მე დამამცირებს, შეურაცხმყოფს, სულიერ ჭრილობას მომაყენებს. სიყვარული კაცს ძაღლად აქცევს, ბრძენს—მხეცად, კეთილს — არამზადად, ამაყს—მათხოვრად, მხიარულ, მოკისკისე ქალიშვილს—ცრემლების ცოცხალ შადრევნად. სიყვარული ბედნიერების სახით მოდის, ტკივილებით გვაწამებს, ტყავს გვაძრობს, ძვლებიდან ხორცს გვაცლის, გულს გვიშიშვლებს და ათასჯერ გვკლავს, სანამ კუბოში ჩაგვაწვენდეს. მე სიყვარულის მეშინია. ის საშინელია, შენ კი, ჩემო მეუფევ, ისე მიძღვნი მას, როგორც ყვავილებს ოქროს ჭურჭელში. შენ გულში მიკრავ და მხიარულად მეუბნები: «შეჰერეზადა, მე შენ გიძღვნი ცხოვრების ყველაზე საუცხოო ჭეშმარიტებას». და ის კი არ იცი, რომ სიცრუეს მთავაზობ. რადგან სიყვარული დღეს— ჭეშმარიტებაა, ხვალ კი— სიცრუე. რადგან სიყვარულს არ დაეჯერება, ისევე როგორც გრიგალს. შენ კი ამ გრიგალით დამარეტიანე და ბედნიერებას მპირდები. ო, სულთანო, შენ გული ამიფორიაქე, შენ მე გიყვარვარ, მაგრამ სიყვარული წარმავალია! შენ მე ისე გიყვარვარ, თითქოს მარტო დღევანდელი დღე არსებობდეს. თითქოს ეს დღევანდელი დღე არ ლესავდეს თავის ავაზაკურ დანას იმ დღისთვის, რომელსაც სახელად «ხვალე» ჰქვია. შენ მე შემიყვარე და მე ბედნიერება მათრთოლებს. მე გადმოვეშვები მაგ



შენს სიყვარულში, როგორც უფსკრულში და შევიცნობ უსასრულობაში ვარდნის საშინელ ნეტარებას. მე შიში მეუფლება, საშინელი შიში. მე თვალწინ მესახება გარიჟრაჟი და მისი თანამგზავრი ჯალათი!

შეჰერეზადა დადუმდა. თვალები უბრწყინავდა, მკერდი უღელავდა. ტუჩები დანამულ ლალს მიუგავდა.

— არასდროს არ ყოფილხარ ასეთი თვალწარმტაცი!—სთქვა სულთანმა და მის ტუჩებს ვნებიანი კოცნით დაეკონა.

პანი მარიხნამ გაციებული ჩაი მიიჩოჩა თავისკენ,

— ასე მთავრდება ზღაპრები ათასერთი ღამისა, ანჯეი,—თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— მართლა? მართლა, მარიხნა?—გაჭირვებით წარმოთქვა ანჯეიმ და გაჩუმდა.

— გაჩერდი, მე შენ ჰალსტუხს შეგისწორებ, თორემ ისე აწვალებ მას, თითქოს გეშინია, რომ საკმაოდ ლამაზად არ გაქვს გამონასკვული.

ის ანჯეისთან მივიდა.

— ნუ დამცინი, მარიხნა,—თქვა ქმარმა უჩვეულო სიმკვირცხლით.—მოყოლა კი მშვენიერი გცოდნია! სულგანაბული გისმენდი... გმადლობთ, ჩემო მეგობარო, შენი ზღაპარი მომხიბვლელია,—ის წამოდგა,—მაგრამ მეშინია, მის გამო ძალიან დავიგვიანე პანი ლილისთან. უხერხულია. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ღამე მშვიდობისა!—მან ცოლს ხელზე აკოცა, შემდეგ ტუჩებით მის ლოყას შეეხო,— ო, რა ცხელი ხარ! როგორ გაწითლდი! მე ერთ საათში დავბრუნდები. ნახვამდის.

— ზოსია, გააცილე მამა.

პან ანჯეი შვილთან ერთად გავიდა. ზოსია ჩუმად, უსიტყვოდ ებლაუჭებოდა მამის ხელს, ცდილობდა მის დაკავებას, არ უნდოდა მისი გაშვება.

ერთი წუთის შემდეგ დერეფნის კარი ხმაურით მოიკეტა. სასადილოს ზღურბლზე ზოსია გამოჩნდა.

— გამორთე ნაძვის ხის ნათურები,—უთხრა მას დედამ,—სინათლე თვალებს მტკენს.

ზოსიამ ნაძვის ხესთან მიირბინა, სინათლე ჩააქრო.

— რა მოწყენილობაა!—ამოიოხრა გოგონამ.

ის დედასთან მივიდა და მოეხვია. პანი მარიხნამ მხურვალედ ჩაიხუტა შვილი.

— ოი, რა მაგრად მეხვევი,—გაიცინა ზოსიამ.—მაკოცე!—მან სახე მიუშვირა დედას და უცებ გაკვირვებულმა შენიშნა, რომ დედას თვალები აცრემლებოდა.—შენ სტირი?—წამოიყვირა შეშინებულმა.

დედამ რაღაც უცხო, ყრუ ხმით უპასუხა:

— ეს ნაძვის ხე... წელს რაღაც არ მომწონს ჩვენი ნაძვის ხე...

ზოსიამ მას ხელები შემოაჭდო—ძლიერ, ძლიერ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა... მაგრამ ბავშვის ხელები ხომ სუსტი იყო.

თარგმნა მაყვალა ახალაძემ

# საკუთარი თვალით ნანახი

ფოტო ავტორის

თუ დაკლაკნილ ბილიკებს რაჭისკენ გაჰყვებით, მეგზურად რიონი გამოგყვებათ და ბუტბუტით გეტყვით: «ესე არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ხრამითა, ხევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან, კაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლისა შემმართებელნი, ძლიერნი... ქალნი მშვენიერნი, მექცევნი ეგრეთნივე, რბილნი.»



მწვერვალებითა და ციხე-კოშკებით შემოგარული გზა სულ მაღლა მიდის, შემდეგ ანაზდად ქვევით ეშვება და ამბროლაურისკენ უხვევს.

სტუმართმოყვარენი არიან მასპინძლები. გვეგებებიან და თან ძველ ანდაზას გვახსენებენ—გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი სჯობიაო, გვირჩევენ ამბროლაურის სადაბო საბჭოს ვეწვიოთ.

თავმჯდომარის სავარძელში ახალგაზრდა ქალი ნატაშა მურუსიძე ზის და კეთილმოწყობის სამუშაოთა კომისიის თავმჯდომარეს აკაკი მემარნიშვილს უსმენს. დროდადრო მის სახეზე უკმაყოფილება იხატება. სოფელ კრიხის გზის მშენებლობა შეფერხებულა და ეს არ მოსწონს —რატომ დროზე არ გვაცნობეთ, თუ რაიმე ხელს გიშლიდათო?

გზის გაყვანაში სადაბო საბჭოს ცოტა გამოცდილება როდი აქვს. ძირაგეულის, იწისა და სხვა სოფლების გზები მისი გაყვანილია, მაგრამ არც ისე იოლია ზვიად ბუნებასთან ბრძოლა, ყოველი კილომეტრი ძალით უნდა გამოგლიჯო ხელიდან.

გზების კეთილმოწყობის გარდა სხვაც ბევრი აქვს სადაბო საბჭოსა და მის თავმჯდომარეს საზრუნავი. ეს აბრეშუმის ჭიის გამოკვება, სკოლის შენობის რემონტი, იქ კიდევ საბავშვო ბაღისა და ბაგის აღსაზრდელები.,. მხოლოდ ორი წელია ნატაშა მურუსიძე თავმჯდომარედ მუშაობს და ბევრი რამ გააკეთა.

ამ ორი წლის წინათ ამბროლაურის სადაბო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა წევრები უკმაყოფილონი იყვნენ: ვშრომობთ და მოსავალი ვერ მოგვყავსო. ახლა კი შრომადღეზე ფულადი შემოსავალი ცხრა მანეთიდან ოც-ოცდაერთ მანეთამდე გაიზარდა. არც ცივი სასმელი წყალი აკლიათ სოფლებს, სამკითხველოც კარგი აქვთ, კინოფილმებსაც ხშირად უჩვენებენ, და ყველაფერ ამას საბჭოს თავმჯდომარეს უმადლიან. მშრომელი გლეხის ოჯახში, ობლობაში გაზრდილ ნატაშას შრომა თვითონაც უყვარს და ცდილობს სხვასაც შეაყვაროს.

წლევანდელი მუშაობით ნატაშა კმაყოფილია: ხორცისა და ყველის დამზადების გეგმა კარგახანია შეასრულეს. თავი არც მეაბრეშუმეებს შეურცხვენიათ. მალე რთველს გააჩაღებენ და პირველ სადღეგრძელოს თავიანთი გამარჯვებისას იტყვიან. შვილების დედას, ხალხის გულშემატკივარს და დამხმარეს, ნატაშა მურუსიძესაც დალოცავენ.

* * *

ამ 30 წლის წინათ ამბროლაურში ხმა დაირხა—სადიკო სვანიძე კოლექტივს აყალიბებს და ვაი მას, ვინც წინ დაუდგებაო...

25 წლის ქალიშვილი, ვაჟურად თმაშეჭრილი სადიკო სოფლიდინ სოფელში ცხენს ვაჟკაცურად დააქროლებდა და ზოგს წერა-კითხვას ასწავლიდა, ზოგს—ჭრილობის შეხვევას. თოხნაშიც მიშველებია მარტოხელას. სამხარიც მო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

უმზადებია. ყველას ახარებდა მისი გამოჩენა. შიშით კი მხოლოდ კულაკებს ეშინოდათ.

მალე სადიკო ქალაქს წავიდა სასწავლებლად და სოფელში ექიმად დაბრუნდა.

იმ დღიდან ახალი, მოუსვენარი ცხოვრება დაეწყო. ოცდაოთხი წელია მის ხელში იბადება სიცოცხლე. ბევრი ღამე გაუტეხია პატარას მოლოდინში, მაგრამ ჩვილის ერთი შეყვირება და... სიზმარივით გამქრალა დაღლილობა.

ვიღაცამ გაბედა და პენსიაზე ჩამოუგდო სიტყვა. გაბედა და ინანა, მკვახე პასუხი შეაგება სადიკომ—ვისაც მოხუცებული ვგონივარ, ჩემთან ნუ მოვაო.

გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს: სამშობიარო სახლისთვის ახალი შენობა უნდა აგონ, თავისი შემცვლელიც უნდა გამოზარდოს... ჯერ ადრეა დასვენება, ადრე.

* * *

ოცდათორმეტი წელია ასე გრძელდება: თამარ მურუსიძე ნორჩებს ჯერ წერა-კითხვას შეასწავლის, შემდეგ ქვეყნის შექმნაზე უამბობს, თვალს აუხელს და გაუშვებს...

რამდენი რამ შეხვედრია ცხოვრების გრძელ გზაზე თამარს! ბევრისთვის დახმარების ხელი გაუწვდია, ბევრისთვის კეთილი რჩევა მიუცია. და ეს მაშინ, როცა უკაცოდ დარჩენილი ოჯახისთვისაც უნდა მიეხედა, სამი შვილიც აღეზარდა, ზრუნვა არც სხვისი ბავშვებისათვის მოეკლო.

თამარი ერთ-ერთი პირველი აგიტატორი იყო რაიონში. არცერთი კონფერენცია თუ თათბირი უმისოდ არ ჩატარდებოდა, მერე პარტორგანიზაციის მდივნადაც აირჩიეს.

ახლა სახალხო მსაჯულია. სასამართლოდან გახარებული ბრუნდება თუ ვინმეს უდანაშაულობას დაამტკიცებენ: გული ეკუმშება თუ ვინმეს დასჯიან. და როცა ბავშვებთან შედის, ფიქრობს—მათში ადამიანი აღზარდოს უპირველესად.

* * *

წარმოუდგენელია უფრო მომხიბვლელი მდებარეობა, ვიდრე სოფელ ხვანჭკარას აქვს. შორით—თოვლიანი მწვერვალები, თვალუწვდენელ ფერდობებზე შეფენილი ზვრები... სულ ქვევით, ამწვანებული მთების ძირში, წყალუხვი რიონი...

ისმის მხიარული შეძახილები—თავს დასტრიალებენ ვაზს, სხლავენ, წამლავენ.

ერთერთ ნაკვეთთან წარწერაა—«ნემსიწვერიძის რგოლი იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელისათვის.» ახლა ასეთ ადამიანებზე საქვეყნოდ ლაპარაკობენ.

აი, შუახნის, მზისგან გარუჯული ქალი ელენე ჭარბაძე საქმეში ისეა გართული, რომ ყურადღებასაც არ გვაქცევს. მისი ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელისათვის იბრძვის. გასულ წელს კარგი მოსავალი მიიღეს ბრიგადის წევრებმა, გეგმის ზევით ორასი ცენტნერი ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს. ნაკლებს არც წელს ელიან. მიწა გულუხვი აქვთ, ვაზი—ჯიშიანი.

ბარაქიან შემოდგომას ელიან რაჭაში—აავსებენ მარნებს, ბეღლებს, ბევრს აუხდება საწადელი—ქორწილებს გადაუხდიან.

მზია კობახიძე



ფოტო მ. როსტიაშვილის

# სეთურიძეები

საკოხის მთა. ზღვის დონიდან 2.200 მეტრის სიმაღლეზე ატყორცნილი მწვერვალები. აქ არის გაშლილი სოფელ მლეთის (დუშეთის რაიონი) კოლმეურნეობის იალაღები.

კარგია ახლა საკოხის მთაზე ყოფნა, თვალს ახარებს იალაღების სიმწვანე და ცის უსაზღვრო სილურჯე. არის დღეები, როცა არაფერი არ არღვევს მთების მყუდროებას, მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნასახი არ ჩანს, სასიამოვნოდ უბერავს გრილი ნიავი, მხოლოდ ეგ არის, მთებმა ხანდახან გაჯავრებაც იციან: ეს განსაკუთრებით იგრძნობა წელს—კვირა ისე არ გაივლის, კოკისპირული რომ არ დაუშვას. მთის ნაკადულები ღვართქაფად იქცევიან, უზარმაზარ ქვებს მოაგორებენ, სწორედ მაშინ არის საჭირო მწყემსების სიფხიზლე, რადგან შესაძლოა ნიაღვარმა ცხვარი გაიტაცოს, მეხმა დააზარალოს.

მთების უბე-კალთებშია გაფანტული მწყემსთა ბინები, სადაც განსაკუთრებული გამოცოცხლებაა დილით და საღამოთი. დღისით ხმაური საძოვარზე გადადის. ისმის მწყემსების სტვენა, სიმღერა, ხან კი სანადირო თოფი გაიხმიანებს. ბინებში თითო-ოროლა ქალი რჩება, ისინი სადილ-ვახშმის თადარიგში არიან, დღვებავენ კარაქს, ამოჰყავთ მსუქანი ყველი.

ამ გოგონებმა, ცხვრის საწველი ბაკის ღობესთან მორცხვად რომ ჩამწკრივებულან, ზაფხული საკოხის მთაზე გაატარეს. ისინი ბიძაშვილები არიან: ნინო, საშა, თამარ, სონია და თებრო სეთურიძეები (მარჯვნიდან მარცხნივ). ზოგმა წელს და ზოგმა შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა და მთაში მოვიდნენ ცხვრების მწველავებად.

გავა დრო და, ალბათ, ბარადაც დაეშვებიან, ქალაქში, სწავლაზე ოცნება რომ აიხდინონ.

ა. თოქმაძე



ტალღებში

ბელას გადაწყვეტილება იყო მტკიცე. მართალია, სალებავებისა და ხატვის საიდუმლოებისა არაფერი იცოდა მაშინ, მაგრამ დიდმა სიყვარულმა იგი სამხატვრო აკადემიაში მიიყვანა.

ახლა უკან დარჩა ის ექვსი წელი... სწავლა, ძიება, ეჭვი...

ჩუმი იყო, ძალზე ჩუმი, ერთადერთი ქალიშვილი მთელ ჯგუფში. ბიჭები ყურადღებით იყვნენ, პატივს სცემდნენ. მას, მეოცნებე გოგონას, საათობით შეეძლო ეცქირა მათი ნამუშევრებისათვის... ხშირად, სადღაც გულის სიღრმეში, იფეთქებდა უნდობლობა საკუთარი თავისადმი. ღონდებოდა. იგი ხედავდა მის ამხანაგებს უკვე ეპოვათ საკუთარი გზა. შინაგანი ხმა ეუბნებოდა, რომ მასაც ჰქონდა ეს გზა, მხოლოდ საჭირო იყო მიგნება. დიდხანს იმუშავა დიპლომზე. და აი, ილიას «ოთარაანთ ქვრივი» წარმოსახა ისე, როგორც ამას თვით განიცდიდა და ხედავდა, ისე, როგორც ამას ქართული სინამდვილე უკარნახებდა. მოუწონეს. ნუთუ იპოვა რასაც ეძებდა?

ერთხელ, როცა თბილისის ქუჩებში ჩამოწვა სიჩუმე, ცა გახდა ძალიან ლურჯი და უსასრულო, ვარსკვლავები აენთნენ, ბელა მიხვდა, რომ ამიერიდან მისი შემოქმედების საყრდენი საქართველოს ცა, საქართველოს მიწა, სოციალისტური სინამდვილეა.

აზრი ნაპოვნი იყო. მასალა ხალხის შემოქმედებამ მისცა.

სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ შინაგანად ჩამოყალიბდა. დეკორატიულობის ბუნებრივმა გრძნობამ სძლია და ახალგაზრდა მხატვარმა შექმნა მომხიბვლელი ნაწარმოებები. «ყვავილების დედოფლები», «ლურჯი შემოდგომა», «ეთერის სიზმარი», «თენდება», «მთის წყარო», «პირიმზისა და პირიმთვარისა», «ნატურმორტი» და სხვა ნახატები ბელა ბერძენიშვილისა არის მთელი სამყარო, მშვიდი, პოეტური და სიცოცხლით სავსე.

პლასტიურობა, ფერთა ორიგინალური გამა, კოლორიტის შესანიშნავი გრძნობა გვაჯადოვებს, უწინარეს ყოვლისა, ამ ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში.

გარდამავალი ლურჯი და მუქი ფერები «ლურჯი შემოდგომისა», გადაწოლილი ქალის პოზა, სამოსის ფერი, შორს ობლად შთენილი ერთი პაწია ყვავილი ქმნის მთელ განწყობილებას შემოდგომისას, ბუნების ცვალებადობის რეალურ სურათს.

დოქი, ხის კოვზი და ჯამი, ხატოვნად, თითქოსდა ხელით ამოქარგული ფარდაგი, და საერთო კომპოზიცია «ნატურმორტისა» — ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებად წარმოგვიდგენს ამ ნახატს.

ბელა ბერძენიშვილის ნახატები სათუთია არა მარტო თავისი განწყობილებით, ისინი სათუთია თავისი შესრულების ტექნიკითაც. პასტელით, გუაშით, აკვარელითა და ფანქრით ძერწავს მხატვარი თავის მშვენიერ სურათებს თეთრ ქაღალდზე.

იგი ჯერ ახალგაზრდაა. ეს მისი პირველი ნაბიჯია.

წინ კიდევ ბევრი ფიქრი და ბევრი მიზანი აქვს ბელას.

მ. კვარაცხელია

# ნელი
# [illegible]შვილი



წყაროსთან



ველის ყვავილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კოსტა ხეთაგუროვი

## 1859 – 1959

„მე არასოდეს მივაჰრია ჩემის სიტყ-ვით. არც ერთი ჩემი სტრიქონისათვის არასოდეს მიმილია ფული... მე ვწერ მხოლოდ მას, რასაც უკვე ვერ იტევს განაწამები გული“.

კ ო ს ტ ა  ხ ე თ ა გ უ რ ო ვ ი



იმ შორეული, 1859 წლის შემოდგომაზე ნაღვლიანად ზუზუნებდა ქარი კლდეებიდან ნარის აულში. მოთქვამდნენ გომურში, კვდებოდა მშობიარე — გაღატაკებული ფეოდალის, ლევან ხეთაგუროვის ცოლი. გვერდით ფეხებს უმწეოდ იქნევდა პაწაწკინტელა კოსტა. მომაკვდავის უკანასკნელი სურვილი იყო მასთან ერთად, ერთ სამარეში დაესაფლა-ვებინათ ახლადშობილი, მაგრამ უბრალო კეთილმა გლეხის ქალმა, ჩენძემ, გადაარჩინა ბავშვი და შეიფარა თავის კერაში.

არ დაავიწყდება ბიჭს: საღამოა. თოვს. ცივა. პური არ არის. ჩენ-ძემ მისცა მჭადის უკანასკნელი ნაჭერი და ემუდარება მოითმინოს. იშვიათი გულისა და კეთილი ხასიათის ამ ქალის სახე შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა კოსტას.

...ხანდახან იჯდა ბიჭი, უცქერდა სწრაფ მდინარეს, იხიბლებოდა მთის მწვერვალებზე ფერების ჯადოსნური ცვალებადობით და უსმენდა მთების სიმღერას. იბადებოდა პოეტი მხატვარი... მაგრამ დედინაცვალი შინ არ აყენებდა, სდევნიდა მის პირველ მხატვრულ ცდებს; ექვსი წლი-დან ცხვრებისა და ხბოების სამწყემსავად აგზავნიდა.

სწავლას კოსტა იწყებს სტავროპოლის გიმნაზიაში.

1881 წ. კოსტამ მოწიწებით შეაღო პეტერბურგის სამხატვრო აკა-დემიის კარი. მიუხედავად სასტიკი დევნისა, აქ მაინც გაისმოდა ჩერნი-შევსკის იდეალთა მძლავრი გამოძახილი. ამ მოწინავე იდეების ზეგავ-ლენით მხატვარმა ახლებურად გადაჭრა დედობის პრობლემა მთიელი ქალის სახეში სურათით «წყალზე»: ნარნარი ახალგაზრდა ქალი მძიმე კოკით მიდის მთის საშიშ ბილიკზე და თან თვალს ადევნებს შვილს, პატარა ბიჭს, რომელიც ჯოხზე გადამჯდარი მხიარულად «მიაჭენებს». ტილოზე—«ბავშვები—კალატოზები» ნაჩვენებია ღარიბი ოსი ბავშვები მძიმე, დამქანცველი მუშაობის დროს. ეს იყო მხატვრის აშკარა პრო-ტესტი ბავშვების ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რის გამოც კოსტა, როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნება, აკადემიიდან გარიცხეს. უსახს-რობა იძულებულს ხდის გაირაწილოს მტვირთავთა მძიმე ხვედრი ნავ-სადგურებში. თავისუფალ დროს იგი რუსი რევოლუციონერ-დემოკრა-ტების თხზულებებისა და დიდი რუსი ხალხის კულტურის შესწავლას ანდომებს.

ვლადიკავკაზში ის ბრუნდება დიდად განათლებული, სრულიად მომ-ზადებული იმისათვის, რომ მთელი ხმით იმღეროს მშობლიურ ენაზე თავისი ხალხის სასიკეთოდ. კოსტა მოწინავე ინტელიგენციის რიგებშია, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლიტიკურ გადასახლებაში ნამყოფი რე-ვოლუციონერი მ. ყიფიანი. კოსტა თბილი კოლორიტით ხატავს მის პორტრეტს, ეცნობა ქართველ მწერალთა შემოქმედებას. ხოლო როცა უფროსი მეგობარი გარდაიცვლება, კოსტა მას უძღვნის ორ ლექსს, რო-მელშიც ხალხის სახელით მადლობას უხდის «ღარიბთა ინტერესების დაცვისათვის».

80-90-იან წლებში კოსტა ხეთაგუროვი ოსურ ენაზე სწერს თავის საუკეთესო ნაწარმოებებს, მძაფრად ხატავს კლასობრივი უსამართლო-ბის მთელ სისაძაგლეს, მოგვითხრობს სიდუხჭირისაგან გათელილ გლე-ხებზე, მწყემსებსა და მუშებზე, განსაკუთრებით მრავალსაფეხურიან ჩაგვრაში მყოფ, ადათებთან მებრძოლ მთიელ ქალზე (პოემა «ფატიმა»). პოეტი იბრძვის ქალთა ემანსიპაციისათვის და განსაკუთრებულ ყურად-ღებას აქცევს ქალთა სასწავლებლებს. ქალის განთავისუფლების თემა, მისი სწრაფვა ცოდნისა და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი გადაჭ-რილია კომედიაში—«დუნია». დუნიას იდეალია იმუშაოს... მამა კი უკრძალავს მოწაფეებთან მეცადინეობას, დედინაცვალი სახლიდან აგ-დებს დუნიას ნაცნობ რაზნოჩინელს. დუნია ვერ უძლებს ამ დესპოტიზმს და ბოლოსდაბოლოს მიემგზავრება პეტერბურგში, ხელზე მოსამსახუ-რედ დგება მეშჩანი ინტელიგენტის, სუიკოვის ოჯახში. აქ იგი ხვდება მასწავლებელ სვეტლოვს, რომელიც ეხმარება მას უმაღლესი განათ-ლების მიღებაში. როგორც ვხედავთ, დუნია უბედური ფატიმას სულიე-რი დაა, იმ განსხვავებით, რომ რაც გადაულახავი აღმოჩნდა ფატიმა-სათვის, დუნიამ გადალახა. ასე იბრძოდა პოეტი ქალისა და კაცის უფ-ლებათა გათანაბრებისათვის.

პირადი ცხოვრების მოწყობა კოსტას მიაჩნდა როგორც საერთო რევოლუციური საქმის ნაწილი. ცხოვრების მეგობრის იდეალი მისთვის იყო მეუღლე—თანამებრძოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კ. ხეთაგუროვი—„ბავშვები—კალატოზები“.

კოსტას სახელი სულ უფრო და უფრო ცნობილი ხდებოდა. პოეტი დადიოდა აულებში და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ხალხს, აკვირდებოდა ბავშვების მდგომარეობას და სტკიოდა გული მათი დუხჭირი ცხოვრებისა და უმეცრების გამო. მან გადაწყვიტა ოსურ ენაზე შეექმნა გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მსგავსი წიგნი. პოეტი წერს ლექსებს და პოპულარული ქრესტომატიებიდან თარგმნის ნაწარმოებებს. კოსტა ხეთაგუროვის ეს განმანათლებლური მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამორჩენია თერგის ადმინისტრაციას, რომელმაც სასწრაფოდ გამოძებნა და მონახა მიზეზი მისი გადასახლებისათვის ოლქის გარეთ, უკაცრიელ მთებში...

ნელნელა მიზოზინობდნენ დღეები, უფრო მეტად მძიმედ, ვიდრე ოდესმე, რადგან იგი დააშორეს საყვარელ ქალიშვილს, ანა ცელიაკოვას. კოსტა მუშაობას იწყებს იალბუზის ტყვიის ქარხანაში კანტორის მოსამსახურედ, ეცნობა მეშახტეების ყოფას, უმეგობრდება ყარაჩელ პოეტს ი. კრიმშახალოვს. ახალი შთაბეჭდილებებისა და განცდების საფუძველზე შეიქმნა მისი ლექსების ციკლი.

მალე კოსტა გადადის სტავროპოლში, გაზეთ «ჩრდილო კავკასიის» რედაქციის მდივნად და გაზეთი მემარცხენეობის გზით მიჰყავს.

1893 წელს გაზეთში დაიბეჭდა კოსტა ხეთაგუროვის «ღია წერილი რედაქციას», რომელიც მოუწოდებდა დახმარებოდნენ ავადმყოფ ქართველ მწერალს ალ. ყაზბეგს.

კოსტა ხეთაგუროვმა უდიდესი ღვაწლი დასდო და საფუძველი ჩაუყარა ოსურ ლიტერატურას.

იგი იყო თავისი უწიგნური ხალხის ზეპირი შემოქმედების შემგროვებელი, მან შეისისხლხორცა მისი მრავალსაუკუნოვანი სიბრძნე, ხალხური ზღაპრები, ოსური თქმების წარმტაცობა. მისი ლექსების კრებული «ოსური ლირა» წარმოადგენდა რევოლუციამდელი ოსეთის თავისებურ პოეტურ ენციკლოპედიას, ბალადაში—«ობლების დედა» პოეტი ხატავს მთის მძვინვარე ზამთრის სურათს, როდესაც ყვავიც გაიყინა სიცივისაგან, გომურში კი, კერიაზე დახრილა განაწამები ქვრივი, რომელიც მშიერი ბავშვებისათვის ქვებს ხარშავს. მთიელი ქალის სახე აქ ისე ტიპიურია, რომ მალე იგი ზოგადი სახე გახდა.

საქართველოში იზრდებოდა კოსტას თაყვანისმცემელთა რიცხვი. თბილისის პროგრესულ ჟურნალში «კავკასიის უწყებანი» იბეჭდებოდა მისი ნაწარმოებები. კოსტა მიიწვიეს რედაქციაში, მაგრამ იგი უკვე დასნეულებულია ჭლექით. ეს იყო დევნისა და რეპრესიების შედეგი.

მეგობრები არ ივიწყებენ კოსტას.

ვლადიკავკაზში იგი ინახულა კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა, რომელმაც დასწერა მუსიკა კოსტას სამ ლექსზე. შემდეგ ვანო სარაჯიშვილი მღეროდა ამ სიმღერებს.

ახლოვდება 1905 წლის რევოლუციის ტალღა. დგება «სისხლიანი განთიადი—ბედნიერი დღისთვის», კოსტას სიმღერებს მღერიან რევოლუციონერები. ოსი ხალხის საამაყო შვილის მგზნებარე გული კი მოულოდნელად დაიფერფლა 1906 წელს. მისი დასაფლავება ვლადიკავკავში გადაიქცა უდიდეს დემონსტრაციად. ძველი წესის თანახმად, კუბოს მიჰყვებოდა პოეტის ძაძითმოსილი ცხენი... ოსი ქალები მოთქვამდნენ კოსტას მწარე ბედზე... საქართველოს გაზეთებმა მოათავსეს ნეკროლოგები.

დღეს, ჩვენს ქვეყანაში, კომუნიზმის მშენებლობის ბედნიერ დღეებში, ოსეთის პირველი რევოლუციონერის კოსტა ხეთაგუროვის სიმღერები გაისმის საკოლმეურნეო მინდვრებზე, დაზგებთან, კლუბებსა და თეატრებში. მისი ნაწარმოებები გამოდის ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან ხალხთა ენებზე. ჯადოსნური «ოსური ლირა» ერთნაირად მომხიბლველად ჟღერს მშვიდობიანი, ბედნიერი შრომის ყველა ადამიანისათვის.

**ა. დვალი**



კ. ხეთაგუროვი—„წყალზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. არტიუხოვა

# დიდი არყის ხე



მხატვარი თეონა ასიტაშვილი

მოთხრობა

— მოდიან! მოდიან!—დაიყვირა გლებმა და ქოშინითა და ტოტების მტვრევით ხიდან ლაეშვა.

ალიოშამ ქვევით ჩაიხედა. მოდიოდნენ მატარებლიდან ჩამოსული მოაგარაკეები. გრძელფეხა ვალოდია, რასაკვირველია, ყველაზე წინ მოდიოდა. ჭიშკარი გაჭრიალდა და გლები ვალოდიას შესახვედრად გაიქცა.

ალიოშა ლოყით ცაცხვის ხეს მიეკრო. უცებ თითქოს პატარა და არაფრისმაქნისი გახდა. გლები და ვალოდია დაიწყებენ ლაპარაკს ისეთ წიგნებზე, რომლებიც ალიოშას არ წაუკითხავს, ანდა ილაპარაკებენ კინოფილმებზე, რომელთა ნახვაც ალიოშასთვის ჯერ ადრეა. მერე ორივენი ტყეში წავლენ. ალიოშას არ წაიყვანენ, თუმცა ალიოშა გლებზე უფრო კარგად აგროვებს სოკოებს, გლებზე უფრო მარდად დარბის, ხოლო ხეებზე ისე დაცოცავს, რომ ამისთვის მას მაიმუნიც კი შეარქვეს. ალიოშამ მოიწყინა: დასვენების დღეებს მისთვის მხოლოდ უსიამოვნება მოჰქონდა.

— გამარჯობა, გლებუშკა!—უთხრა ვალოდიამ.—მაიმუნი სად არის?

«მაიმუნი» საპატიო სახელწოდება იყო, მაგრამ ხომ შეიძლება ყოველი სიტყვის ისე დამახინჯება, რომ საწყენი გახდეს.

— ცაცხვზე ზის!—გაიცინა გლებმა.—ვალოდია, მეც ვძვრებოდი იმ ცაცხვზე, თითქმის კენწეროზე ავდიოდი.

— მჯერა,—დაცინვით უთხრა ვალოდიამ.—ამ ცაცხვზე სხვის დაუხმარებლად ძუძუმწოვარა ბავშვსაც კი შეუძლია ასვლა.

ამ სიტყვების შემდეგ ცაცხვზე ჯდომას, აბა, რაღა ინტერესი ჰქონდა. ალიოშა ჩამოვიდა ხიდან და სახლისკენ წავიდა.

— თქვენს ღობესთან არყის ხე დგას,—განაგრძობდა ვალოდია.— აი, ის კი ნამდვილი ხეა!

ვალოდია ჭიშკრიდან გავიდა.

— ეი, შენ, ალიოშა!—დაუძახა მან,—აი, დიდ არყის ხეზე კი შენ ვერ ახვალ!

— დედა არ მიშვებს,—პირქუშად უთხრა ალიოშამ.—ის ამბობს, რომ ხიდან ადრე თუ გვიან უნდა ჩამოხვიდე, ეს კი გაცილებით ძნელია, ვიდრე ხეზე ასვლაო.

— ეე, შენ ნამდვილი «დედას ბიჭი» ხარ!

ვალოდიამ გაიხადა სანდლები, შეახტა ცაცხვის ხის მახლობლად დაგდებულ დიდ ჯირკს და სწრაფად აძვრა. ხელებსა და ფეხებს მაგრად ხვევდა ხეს.

ალიოშა შურის თვალით უცქერდა ვალოდიას. გაფურჩქნილი მწვანე ტოტები ცაცხვზე მხოლოდ კენწეროში, სადღაც ღრუბლებს ქვემოთ იზრდებოდა. ხე გლუვი იყო და თითქმის სულ არ ჰქონდა ნუჟრები და ჩამოტეხილი ტოტების ნარჩენები. მიწიდან ძალიან მაღლა ხე ორად იტოტებოდა და ისინი გასხეპილ შოლტებივით მაღლა, ცისკენ თეთრად და კოხტად მიიწევდნენ.

ვალოდიამ ორკაპამდე მიაღწია. ფეხებს აქანავებდა, ვითომდა, შემომხედეთ, ნახეთ, რა ბიჭი ვარო!

— ამოდი, მაიმუნო!—არ ეშვებოდა ვალოდია.—რა მაიმუნი ხარ, ხეზე ასვლის გეშინია?

— კუდი არა აქვს!—სთქვა გლებმა,—ამიტომ უძნელდება.

— უკუდო მაიმუნებიც კარგად დაცოცავენ ხეებზე,—შეესიტყვა ვალოდია,—კუდით ადვილია ტოტებზე ჩამოკიდება. აქ კი ტოტები თითქმის სულ არ არის. ალიოშას კი უტოტებოდ არ შეუძლია ასვლა.

— სტყუი!—ვეღარ მოითმინა ალიოშამ.—მე ჭოგრზე ნახევრამდე ავდივარ.

— რატომ მარტო ნახევრამდე?

— უფრო მაღლა ასვლას დედა უშლის.

ალიოშა გაბრაზდა, მოსცილდა მათ და ბაღის ერთ კუნჭულში მიიმალა.

ვალოდია ერთხანს კიდევ იჯდა არყის ხეზე, მაგრამ ახლა გამოსაჯავრებელი აღარავინ იყო. ზევით უხორკლო ხეზე ასვლა კი ვერ გაბედა და ხიდან ჩამოსვლა დაიწყო.

— გლებ, მოდი, სოკოების საკრეფად წავიდეთ, კარგი? წამოიღე კალათები!

ხმაგაკმედილმა ალიოშამ თვალი გააყოლა მათ.

ისინი ხევზე გადავიდნენ და ხელში ხოკურების თამაშით ტყისკენ გაიქცნენ.

აივანზე დედა გამოვიდა.

— ალიოშა, გინდა სადგურზე წავიდეთ?

ცუდი არ იქნებოდა გასეირნება და ორთქმავლის ნახვა, მაგრამ ახლა არ იყო ალიოშას «დედას ბიჭი» რომ დაუძახეს? ხომ ვერ გაივლიდა დედასთან ხელჩაკიდებული მთელ სოფელს, როცა ვალოდია და გლები ნამდვილი ვაჟკაცებივით ტყეში ერთად წავიდნენ.

— არ მინდა.—სთქვა ალიოშამ.—მე სახლში დავრჩები.

დედა წავიდა. ალიოშამ შეხედა დიდ არყის ხეს, ამოიოხრა და იქვე, ღობესთან სკამზე ჩამოჯდა.

ვალოდია და გლები ტყიდან მხოლოდ სადილობისას დაბრუნდნენ. სადილის შემდეგ ბაღში ფარდაგი დააგეს, წამოწვნენ და დაიწყეს კითხვა. დედა ჭურჭლის დასარეცხად სამზარეულოში გავიდა.

— ალიოშა, შენც წამოწოლილიყავი,—უთხრა დედამ.

ალიოშა ფარდაგის კუთხეში ჩამოჯდა და გლების მხარს ზემოდან ჩაიხედა წიგნში.

— ყურში ნუ მაორთქლებ,—წაილუღლუღა გლებმა. — ისედაც ცხელა.

ალიოშა ადგა, გავიდა ჭიშკარში და დიდ არყის ხეს მიუახლოვდა. მიიხედ-მოიხედა. ბილიკზე არავინ ჩანდა. ხეზე ავიდა, მაგრად ეჭიდებოდა ნუჟრებსა და გამხმარ ტოტებს. ქვემო ღერო მსხვილი იყო და ფეხებს ვერ აწვდენდა.

«იმ გრძელფეხებასთვის ადვილია!»—ბრაზით გაიფიქრა ალიოშამ.— მაგრამ მე უფრო მაღლა ავალ მაინც!—და მიცოცავდა სულ მაღლა და მაღლა. ხე არც ისე გლუვი იყო, როგორც ეს ქვევიდან ჩანდა. ფეხის დასადგმელიც და ხელების მოსაჭიდიც ჰქონდა.

კიდევ ცოტა, სულ ცოტა-და ორკაპამდეც მიაღწევს. იქ კი ამოისუნთქავს შვებით.

ესეც ასე! ალიოშა იმ ადგილზე დაჯდა, სადაც დილით ვალოდია იჯდა. მხოლოდ დიდხანს ვერ გაჩერდებოდა—ვინმე დაინახავდა და დედას დაუძახებდა. ალიოშა წამოდგა და მაღლა აიხედა. მარჯვენა ღერო უფრო მაღალი იყო, ვიდრე მარცხენა. ალიოშამ მარჯვენა აირჩია, მოხვია ხელები და ფეხები და მაღლა ასვლა განაგრძო.

— სულ არ ყოფილა ძნელი...—ჩაილაპარაკა თავისთვის,—სულაც არ მჭირდება კუდი, გლებუშკა, კუდი შენ უფრო გამოგადგებოდა!

სასიამოვნო იყო ზევიდან ქვევით აგარაკის სახურავებისათვის, ბაღის ხეებისათვის და საყვარელი ცაცხვის ყურება, რომელიც ზევიდან ძალიან პატარა, სუსტი და გაფურჩქვნილი ჩანდა. მიწა თითქოს დაბლა-დაბლა იწევდა და ფართოვდებოდა. აი, ხრამიც გამოჩნდა, ხრამს იქეთ მინდორი და ტყე. შორს, ბორცვის გადაღმა კი აგურის ქარხნის მილი ამოტივტივდა. მხოლოდ მაშინ, როცა ალიოშამ კენწეროში პირველ მწვანე ტოტამდე მიაღწია, იგრძნო, რომ ძალიან დასცხა და დაიღალა.

* * *

— ეჰეი!

გლებმა წიგნის კითხვას თავი მიანება და ზანტად ასწია თავი: ეს, ალბათ, ალიოშა აძვრა ისევ რამეზე!

მან შეხედა ცაცხვს და სახლის სახურავს.

— ეჰეი!

არა, ეს უფრო მაღლიდან ისმის!

გლები დაინტერესდა და წამოდგა.

— ვალოდია, წამო, მოვძებნოთ,—თქვა მან.

— საქმე შემოგლევია!—ჩაიქნია ხელი ვალოდიამ.

გლები ღობესთან მივიდა.

— ეჰეი!

მან შეხედა არყის ხეს და... გაშტერდა.

* * *

დედა სამზარეულოში იდგა და ჩაის ტილოთი ფინჯანს წმენდდა. უცებ ფანჯარასთან მან გლების შეშინებული სახე შეამჩნია.

— დეიდა ზინა! დეიდა ზინა!—დაიყვირა მან,—შენი ალიოშა ჭკუიდან შეიშალა!

მეორე ფანჯრიდან ვალოდიამ შეიხედა.

— ზინაიდა ლვოვნა! თქვენი ალიოშა დიდ არყის ხეზე ავიდა!

— რომ ჩამოვარდეს!—მტირალი ხმით განაგრძობდა გლები,—და დაიმტვრეს...

ფინჯანი ხელიდან გაუვარდა დედას და ხმაურით დაეცა იატაკზე.

— ...ნამსხვრევებად!—დაამთავრა გლებმა და შიშით შეხედა ფინჯანის თეთრ ნამსხვრევებს.

დედა გარეთ გამოვიდა და ჭიშკარს მიადგა.

— სად არის?

— აგე, არყის ხეზეა!

დედამ შეხედა თეთრ ტოტს, იმ ადგილს, სადაც ხე ორად იყოფოდა. ალიოშა არ ჩანდა.

— რა სულელური ხუმრობაა, ბავშვებო!—სთქვა მან და სახლისკენ წავიდა.

— არა, არა, ჩვენ მართალს ვამბობთ!—დაიყვირა გლებმა,—სულ მაღლა, კენწეროზეა ტოტებში!

ახლა კი მიხვდა დედა, სად უნდა ეძებნა შვილი. მან დაინახა ალიოშა. მერე თვალით გაზომა მანძილი მიწიდან იმ ტოტამდე, რომელზეც ალიოშა იჯდა და სახეზე არყის ხის ფერი დაედო.

— ჭკუიდან შეიშალა!—გაიმეორა გლებმა.

— ჩუმად!—სთქვა დედამ წყნარად, მაგრამ მკაცრად.—წადით ახლავე სახლში!

დედა ხესთან მივიდა.

— როგორ არის საქმე, ალიოშა,—უთხრა დედამ,—კარგია მანდ?

ალიოშამ შეხედა დედას. გაუკვირდა, რომ ის არ უჯავრდებოდა, მშვიდად და ალერსიანად ელაპარაკებოდა.

— აქ ძალიან კარგია!—სთქვა მან,—მხოლოდ ძალიან მცხელა, დედიკო.

— ეგ არაფერია,—სთქვა დედამ,—დაჯექი, ცოტა დაისვენე. მერე კი დაიწყე ჩამოსვლა. მხოლოდ არ აჩქარდე. ნელ-ნელა ჩამოდი... დაისვენე?—ჰკითხა მან ერთი წუთის შემდეგ.

— დავისვენე.

— მაშ, ჩამოდი.

ალიოშა ტოტს მოეჭიდა და ფეხის დასადგმელს ეძებდა. ამ დროს ბილიკზე უცნობი, მსუქანი მოაგარაკე გამოჩნდა. მან გაიგონა ხმა, აიხედა და შეშინებულმა, თან გაბრაზებულმა დაიყვირა:

— სად ახულხარ, შე საძაგელო! ჩამოდი ახლავე!

ალიოშა შეკრთა, დაიბნა და გამხმარ ტოტს დაადგა ფეხი. ტოტი ჩამოტყდა და შრიალით დაეცა დედის ფეხებთან.

— ასე არა!—სთქვა დედამ,—მეორე ტოტზე დაადგი, მეორეზე!—მერე მოაგარაკეს მიუბრუნდა:

— თქვენ ნუ წუხდებით, თუ შეიძლება, ჩემმა შვილმა ძალიან კარგად იცის ხეებზე ასვლაც და ჩამოსვლაც. ჩემი ბიჭი ყოჩაღია!

ალიოშას პატარა და მსუბუქი ტანი ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს. ზევით ასვლა უფრო ადვილი იყო. ალიოშა დაიღალა. მაგრამ ქვევით დედა იდგა, ამხნევებდა, რჩევას აძლევდა და ალერსიან სიტყვებს ეუბნებოდა.

მიწა ახლოვდებოდა და ვიწროვდებოდა. უკვე აღარ ჩანდა მინდორი ხევს გადაღმა, არც ქარხნის მილი. ალიოშამ ორკაპამდე მოაღწია.

— შეისვენე,—უთხრა დედამ,—ყოჩაღ, აი აქ, მარჯვნივ... აი, ასე, ნუ ჩქარობ!

მიწა სულ ახლოს იყო. ალიოშა ხელებით ჩამოეკიდა ტოტს, გაიმართა და იმ მაღალ ჯირკს დაახტა, რომლიდანაც ასვლა დაიწყო.

ალიოშა იდგა გაწითლებული, დაღლილი და აკანკალებული ხელებით იბერტყავდა მუხლებიდან არყის ხის ქერქის თეთრ მტვერს.

ჩასუქებულმა უცხო მოაგარაკემ გაიღიმა, თავი გადააქნია და თქვა:

— პარაშუტისტი გამოხვალ, პარაშუტისტი!

დედამ მოხვია ხელი ალიოშას გამხდარ, მზით დამწვარ, დაკაწრულ ფეხებს და დაიყვირა:

— ალიოშა, მომეცი პირობა, რომ არასოდეს, არასოდეს აღარ ახვალ ასე მაღლა!

და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ წავიდა.

ვალოდია და გლები აივანზე იდგნენ. დედამ მათ გვერდი აუარა, გადაიარა ბოსტანი და ხევისკენ წავიდა. დაჯდა ბალახზე, თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა.

ალიოშა დარცხვენილი და გაწითლებული მიჰყვებოდა უკან. მერე ისიც დაჯდა დედის გვერდით და მაგრად მოხვია ხელები. თმაზე ხელს უსვამდა და ალერსით ეუბნებოდა:

— დედიკო, დაწყნარდი, დედიკო... აღარ ავალ, ასე მაღლა არასოდეს აღარ ავალ... დაწყნარდი!

მან პირველად დაინახა როგორ ტიროდა დედა.

თარგმნა მარიამ ჭავჭანიძემ



1742

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესანიშნავი ქართველი მოცეკვავე

პარიზი...

1957 წელი.

კავკასიური ბალეტი, გასაოცარი მოცეკვავენი საქართველოდან...

განუმეორებელი სენსაციები და ფურორი... რამდენიმე კვირაა მოსვენება დაკარგა პარიზმა...

«ხორუმმა» და «განდაგანამ» ძილი დაუფრთხო... დუდუკის ხმამ, ქართული მანდილის გაფრიალებამ, თუ ხმლის ვაჟკაცურმა მოქნევამ სამშობლოს სუნთქვა, შორეული სამშობლოს ხმა ჩამოუტანა...



Mlle Elly TCHEROFF

იცოდა, რომ ქართული მელოდიები, ქართული ცეკვის თავაწყვეტილი რითმი სამუდამოდ დაუკარგავდა მოსვენებას, იცოდა და მაინც იჯდა აქ ცრემლად დაღვრილი... 72 წლის ელი ჩეროვა, პირველი გამოჩენილი ქართველი მოცეკვავე ქალი... მეტს ვერაფერს ახერხებდა... ოდესღაც თვითონაც ცეკვავდა ასე... ტყუილად როდი უწოდებდნენ ქართველ დუნკანს გრაციითა და სინატიფით განთქმულ ჩერქეზიშვილის ქალს...

ერთხელ რომ მაინც დაანახვა საქართველოს ლურჯი ცა და ქოჩორა მთები, ერთხელ კიდევ რომ ეზიაროს ქართული მიწის მადლს, ფრთები შეესხმებოდა, უკანასკნელად გაფრინდებოდა პაჟის ცეცხლოვანი მკლავების ქვეშ...

ოდესღაც მასაც აუპყრია ასე პარიზი... მოგონებები მოგონებებს ცვლიან...

კახეთის თაკარა ზეცა... მამისეული კარმიდამო სოფელ თოხლიაურში... დილიდან საღამომდე გაუთავებელი ხტუნვა და თამაში... თვალის დახამხამებაში მოექცეოდა პანტის კენწეროზე, წამსვე ქვევით იყო ჩამოსული და ქარივით გარბოდა. მიჰქროდა... სულ რაღაც აწუხებდა, რაღაცას აკეთებდა... ცეკვავდა, ცეკვავდა, როცა დადიოდა, როცა იდგა, როცა ლაპარაკობდა...

1908 წელი... თბილისში ჩამოდის მთელ მსოფლიოში განთქმული მოცეკვავე აისედორა დუნკანი, რომელიც ძველი ბერძნული ნიმუშის პლასტიკურ ცეკვებს მომაჯადოებლად ასრულებს. დუნკანი გასაოცარი ხელოვნებით წარმოადგენდა ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკისა და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებებს ცეკვის, მიმიკის, ჟესტიკულაციის საშუალებით. მისმა გრაციამ და ჯადოსნურმა ცეკვამ თბილისის დედათა ინსტიტუტის სტუდენტს ელენე ჩერქეზიშვილს გადააწყვეტინა ამ უდიდესი ხელოვანის მოწაფე და მიმდევარი გამხდარიყო.

1909 წელს ელო უკვე მოსკოვშია და ცნობილ მოცეკვავე ქალთან მარშევასთან კლასიკური ცეკვის პირველ გაკვეთილებს იღებს. ქართველი ქალის არაჩვეულებრივმა პლასტიკურობამ და გრაციამ მარშევას გაბედინა რუსეთის იმპერიის ქალაქებში საგასტროლოდ ისიც წაეყვანა. პირველმა ოვაციებმა და პირველმა ყვავილებმა თავბრუ დაახვიეს ელენეს მაშინ.

მხოლოდ საქართველოში ჯერ არავინ იცნობდა მის ხელოვნებას. 1911 წელს პეტერბურგის საბალეტო დასის მიერ თბილისში გამართულ კონცერტზე ელოც ცეკვავს.

ღელავდა. რას იტყვიან აქ, თბილისში, როგორ მიიღებენ მის ცეკვას თანამემამულეები.

აღფრთოვანება, სიხარული, მადლობა...

გაზეთი «თემი» წერდა: «ჩერქეზიშვილის ასულმა ცეკვის ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ მას უკვე დაარქვეს «ქართველი დუნკანი»... გასაკვირველი ის არის, რომ ჩერქეზიშვილის ქალმა მხოლოდ ეს ერთი წელიწადია, რაც დაიწყო სცენაზე ცეკვა და უკვე სახელი მოიხვეჭა.»

გაიარა პირველმა აღტაცებამ... ელოს უსაყვედურებდნენ, რომ მისი ხელოვნება არ იყო ქართული. მალე ეს აზრი პრესამაც გამოთქვა: მისი ცეკვა გრაციას არ არის მოკლებული, მაგრამ ქართული ხასიათი სრულებით არა აქვსო.

კარგად ახსოვს ელოს ის განუმეორებელი თვეები, რაც ქართული ხალხური სიმღერების, მითების, რიტუალების დამუშავებას მოანდომა. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი წვა, რომლის მსგავსი შემდეგ არც განუცდია. ცეკვა შუშპარითა და როკვით ასურათხატებდა, ძერწავდა მათ შინაარსს, მუსიკის ტაქტთან შეთანხმებული ნარნარი მოძრაობები, ფერად და ლამაზ კოსტუმებთან ერთად, ჰქმნიდა ისეთ პლასტიკურ სახეებს, რომლებიც ემოციით უტოლდებოდა მუსიკას, მითს...

ერთის მხრივ, მისი როკვა ერის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი პანტომიმები იყო, რასაც საყოფაცხოვრებო სურათების გადმოცემით აღწევდა. მეორე, სახასიათო ცეკვები და მესამე, ყველაზე მომხიბვლელი, ჯერ არნახული ქართული სიმღერების შეფეროვნება და გადმოცემა ცეკვით. თვითეულ მელოდიას მხატვრულ სახედ წარმოადგენდა. ქართველ დედას «იავნანით» განასახიერებდა, ახალგაზრდა კეკლუც ქალს «ცაწვალა და გოგონათი», სამშობლოზე დარდს და ნათესავების ნახვის ნატვრას «ვაფრინდი, შავო მერცხალოთი» გამოხატავდა. «ჭიდაობა» ელოს კონცერტის მარილი იყო ყოველთვის.

ელო ჩერქეზიშვილის სახელი მის სამშობლოს გაცდა. პირველი მისი გამოსვლები საზღვარგარეთ, ბელგიაში იყო. უკანასკნელად ქალაქ ჰანოვერში იცეკვა. მერე პარიზში მიიწვია პოლ ფრანკმა «თეატრ იმპერიალში». ფრანგული ჟურნალი «კომედია ილუსტრე» შემდეგს წერდა: «ყოველ საღამოს პარიზის რჩეული საზოგადოება აღტაცებაში მოდის მისი თამაშით და აღფრთოვანებული უკრავს ტაშს ამ მომხიბვლელ მოცეკვავეს. ხელოვნებით გატაცებული არტისტული ბუნება საშუალებას აძლევს გამოააშკარავოს კავკასიელი ქალების განსაკუთრებული სინარნარე. ელი ჩეროვას შესანიშნავი აზრი მოუვიდა—ანტიკური კოლხიდის ძველი ლეგენდარული სიმღერების სტილიზირება. განსაკუთრებული არტისტული ხასიათის ცეკვები საშუალებას გვაძლევენ არ დავფაროთ სიმპატიური არტისტის ტალანტი და დიდი ენთუზიაზმითაც მივილოთ. ეს იქნება უდიდესი წარმატება, რომელიც კიდევ დაემატება ყველა იმ წარმატებებს, რომელიც ელი ჩეროვამ უკვე მოიხვეჭა». ელენე ჩერქეზიშვილი შორეულ საფრანგეთში ელი ჩეროვად გადაიქცა.

ელო კი თავის თბილისელ მეგობარს პარიზიდან წერდა: «პირველ რეპეტიციაზე იმპერიალის დირექტორის წინ მე ისე კარგად ვითამაშე, რომ მაშინათვე იმან კონტრაქტზე ხელი მომაწერინა. ჯერჯერობით ჩემი საქმე მშვენივრად მიდის.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც მშვენივრად მიდიოდა მისი სასცენო მოღვაწეობა პარიზში. დუნკანის ახალგაზრდა კონკურენტმა მოლოდინს გადააჭარბა და თეატრი «იმპერიალი» აივსო მისი თაყვანისმცემლებით. ფრანგული ჟურნალი «ლე მონდ ილუსტრე» სამართლიანად წერდა: «ყოველი მხატვარი, ყოველი მოქანდაკე, ყოველი ნამდვილი არტისტი უთუოდ წავა ნახოს და ტაში დაუკრას დიდებულ მოცეკვავე ქალს — ელი ჩეროვას, ყველა, ვისაც კი უყვარს მიმიკა და პლასტიკური ხელოვნება.» ჟურნალი «ლა გრიფი» საზოგადოებას ამცნობდა: «ელი ჩეროვა თავისი გასაოცარი ცეკვით თვალს იპყრობს და გრძნობას ხიბლავს. ელი ჩეროვა ბუნებით უხვად დაჯილდოვებულია, იგი შორს წავა, იგი ნამდვილი არტისტია». გამართლდა წინასწარმეტყველება. ქართველმა ქალმა დიდების კულმინაციურ წერტილს მართლაც მიაღწია მაშინ, როდესაც 6 წლის წინ სცენიდან ჩამოსული პოლ ფრანკი კვლავ მოევლინა პარიზის საზოგადოებას, როგორც არტისტი და ელი ჩეროვასთან ერთად ითამაშა პანტომიმა «ლა რომანიშელში...» საფრანგეთის პრესა კვლავ ამეტყველდა, ყველგან მათზე ლაპარაკობდნენ, ელი ჩეროვას «დიდებულ ქართველ მოცეკვავედ» იხსენიებდნენ არა მარტო ფრანგები, არამედ მთელი მსოფლიო.

ელენე ჩერქეზიშვილი კი მოკრძალებით წერდა: «რამდენადაც შემიძლია გავავრცელებ ქართულ პლასტიკას, მაგრამ მეტი იქნება ვუწოდო ჩემს თავს განსაკუთრებული ქართველი მოცეკვავე. ეს აღემატება ჩემს ღონეს. იმედი მაქვს ჩვენში გამოჩნდებიან ჩემზე უფრო ნიჭიერნი და განაგრძობენ ჩემ საქმეს».

ელი ჩეროვა ინგლისსა და ამერიკაშიც მიიწვიეს საგასტროლოდ, მაგრამ მოულოდნელად გათხოვდა და საბოლოოდ დასახლდა პარიზში. დასრულდა მისი ბრწყინვალე კარიერა. მეუღლის კატეგორიული მოთხოვნით იძულებული გახდა სცენა მიეტოვებინა...

ახლა მარტოობა ქალაქ აბონდანში... «წლების მანძილზე ვწერდი და ვმუშაობდი პლასტიკაზე, მაგრამ ძალიან ცოტა იყო დაინტერესებული. ჩემს მუშაობას ან ღიმილით შესცქეროდნენ, ანდა ისეთ სახეს ილებდნენ, თითქოს არაფერი იცოდნენ...» გვწერს იგი.

დავიწყებას მიეცა საოცარი ელი ჩეროვა... ისევ საქართველომ მოიგონა თავისი შვილი... შარშან თბილისიდან გაზეთის ამონაჭერი მიიღო. «ქართველი მომღერალ-მოცეკვავენი უცხოეთში»—ამ სათაურის ქვეშ მასზე ლაპარაკობდნენ... თურმე სამშობლოს ისევ ახსოვს მისი «იავნანა» და «ჭიდაობა»...

ამ ამონაჭრებმა და მშობლიური ცეკვების ანსამბლმა ელენე ჩერქეზიშვილს ის დრო მოაგონა, თეატრალური საზოგადოების სცენაზე ქართულ დამუშავებულ ცეკვებს რომ უჩვენებდა ქართველ საზოგადოებას. ეს პირველი ამბავი იყო და არაჩვეულებრივი...

ახლა... ახლა უყურებს მშობლიურ ცეკვებს და ეჭვიანობს... თვითონ უკეთესად იცეკვებდა, ისევ ახალგაზრდა რომ იყოს?

ა. ცამციშვილი

# მინიატურები შორეულ მომავალზე

იუმორი

* * *

ვაჟმა მკერდიდან გული ამოიგლიჯა და ქალს ფეხქვეშ დაუგდო. ქალმა იკივლა: ვაჟის მექანიკური გული მოძველებული სისტემის აღმოჩნდა.

* * *

— მოიხსენით ეგ სათვალე, გეთაყვა,—უთხრა ქალიშვილმა ვაჟს—არ მიყვარს, როდესაც მამაკაცი ჩემს გულში იხედება.

* * *

— ეს რა პლანეტა ყოფილა: მთელი მისი ზედაპირი სულ თვალწინ ჩანს ხელისგულივით,—უთხრა ქალმა ვაჟს იუპიტერის დათვალიერებისას, სადაც ატმოსფეროში სინათლის სხივის მრავალჯერი გარდატეხის გამო ყველა წერტილიდან, როგორც უზარმაზარი ქვაბის ფსკერიდან. ისე ჩანდა მთელი ცთომილი.

— იცი რა, ძვირფასო, არასოდეს არ მოვიდეთ აქ პაემანზე.

* * *

ქალმა რადიობარათი გაუგზავნა შორეულ ვარსკვლავებზე ექსპედიციაში მყოფ საქმროს: ორი ათასი წლის წინათ ქალიშვილები ორ-სამ წელიწადს ძლივს უცდიდნენ დანიშნულებს. მე აგერ ასი წელია გელი. კიდევ რამდენი საუკუნე გიცადო?

* * *

— სად გაშავდით ასე გადასარევად?

— ნატურალურ მზეზე. ეს ზაფხული იქ გავატარე.

— არ გამიკვირდა!.. აქ კი—დედამიწაზე ხელოვნური მზე საძაგლად ნორმალური იყო.

* * *

— აჰ, რა მშვენიერი ვაჟკაცი ხართ: ტანადი, ღონიერი, ჭკვიანი, მარდი!.. მე ვიწვი თქვენი სიყვარულით.

— მაპატიეთ, ქალიშვილო, ვერაფრით გითანაგრძნობთ. მე სრულყოფილი მექანიკური ადამიანი ვარ და ჩემმა მკაცრმა კონსტრუქტორმა არ ისურვა ჩემთვის ადამიანური სისუსტეები მოენიჭებინა.

* * *

— ნახე უკანასკნელი მოდის ქალის ტანსაცმელი?

— ვნახე.

— მოგეწონათ?

— როგორ არა... აბსოლუტურად უხილავია.

* * *

— ერთადერთ ქალიშვილს მე უცხოელს ვერ გავატან.

— უცხოელი რატომ ვარ, ქალბატონო, მე აგერ ჩვენი ვარსკვლავთქალაქის მეზობელი სპირალიდან მოვედი.

* * *

— მე მთლიანად ანტიმატერიისაგან ვარ აგებული, შენ კი მატერიისაგან,—უთხრა უცხო სამყაროდან მოსულმა ქალმა ვაჟს,—საკმარისია ერთი შეხება და ორივე მაშინვე დავიფერფლებით ინჰილიაციის შედეგად.

— მე მზად ვარ გავქრე შენთან ერთად და ენერგიის ქვანტებად გადავიქცე ერთი უნეტარესი მიკროსეკუნდისათვის,—წამოიძახა სიყვარულით ანთებულმა კაცმა.

* * *

— თუ არ ჩამომეხსნებით, აქედან სულ სხვა გალაქტიკაზე წავალ დასასვენებლად.

— ვერსად წამიხვალთ, ქალიშვილო, საგალაქტიკოთაშორისო საკურორტო სამმართველოში, მოგეხსენებათ, თვითონ მე ვანაწილებ საგზურებს.

* * *

— თქვენი მეუღლე გადადნობის შემდეგ სრულებით გამოიცვალა.

— მართალია. მაგრამ მე მაინც მიყვარს იგი. ჩვენ, ხელოვნურმა ადამიანებმა ვიცით უცვლელი ერთგულება და არც არასოდეს ვცდებით.

* * *

ქალიშვილო, რატომ მალავთ თქვენს ნამდვილ წლოვანებას?

— როდი ვმალავ, ექიმო, მერწმუნეთ, ეს მეორედ გაახალგაზრდავების შემდეგ გავიდა მართლა მხოლოდ ოთხმოცი წელი.

* * *

— რა წარმტაცი ქალიშვილი ჩამოვიდა ანდრომედის ნისლეულიდან!.. რა ვქნა არ ვიცი... რა ენაზე ველაპარაკო?

— ილაპარაკეთ სიყვარულის ენაზე. როდესაც გულწრფელია, იგი ერთნაირად გასაგებია ყველა დროში და ყველა ვარსკვლავზე.

აპ. ბასილაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სემინარი მშობლებისათვის

## ბავშვის ათეისტური აღზრდა ოჯახში

ახლა, როცა ბავშვებიც კი კოსმოსში გაფრენაზე ფიქრობენ, თითქოს სრულიად შეუსაბამოა იმაზე ლაპარაკი, რომ საჭიროა ბავშვის ათეისტური აღზრდა. მაგრამ რელიგიური ცრურწმენის გადმონაშთები ჯერ კიდევ არსებობს უფროსი თაობის მცირე ნაწილში, რომელსაც გავლენა აქვს ბავშვებზე.

როგორია ეს გავლენა?

რელიგიური აღზრდა დაფუძნებულია ბავშვში შიშის გრძნობის აღძვრაზე. შიში კი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე და შეუძლია ნერვიულ აშლილობამდეც მიიყვანოს იგი.

აი ამის მაგალითი: ერთ-ერთ ოჯახში პატარა ოთარს მორწმუნე ბებია უყვებოდა სხვადასხვა რელიგიურ-ფანტასტიკურ ზღაპრებს. ერთხელ მან უამბო ბავშვს ზღაპარი ბიბლიიდან, რომლის მიხედვით «ღმერთისადმი» ერთგულებისათვის მამამ თავისი ერთადერთი საყვარელი შვილი დანით განგმირა. ეს ზღაპარი ბავშვმა ძლიერ განიცადა და ნერვიულად აიშალა.

ზოგიერთი დედ-მამა, ვითომდა ავტორიტეტის შექმნისათვის, ცდილობს შორს დაიჭიროს თავი ბავშვებისაგან. ისინი იშვიათად საუბრობენ მათთან, დაკავებული არიან თავიანთი საქმით. ბავშვები კი ბებიის ან შინამოსამსახურის ხელში იზრდებიან. ამ შემთხვევაში ისინი ადვილად ექცევიან მავნე გადმონაშთების გავლენის ქვეშ. არიან ისეთი მამებიც, რომლებიც იფარგლებიან მხოლოდ ბავშვთა მატერიალური უზრუნველყოფით და შვილის აღზრდის ამოცანას მთლიანად დედებს აკისრებენ.

რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი შეხედულება ბავშვთა აღზრდის საკითხში.

ერთი ჩემი ნაცნობი ექიმის ოჯახში ბავშვი ჩვეულებრივ იძლეოდა უამრავ შეკითხვებს: სად მიდიან ზამთარში ბუზები? რომელი უფრო ძლიერია, ლომი თუ ვეშაპი? რატომ უნდა აუცრან ხალხს ყვავილი? რატომ კვდება ადამიანი? რა არის ქუხილი? საიდან მოდის წვიმა? და ა. შ.

ბავშვის მამა ძალიან დატვირთული იყო თავისი საქმით, მაგრამ მაინც პოულობდა დროს შვილთან საუბრისათვის, აკმაყოფილებდა მის ცნობისმოყვარეობას, უნერგავდა ბავშვს კარგ ჩვევებს, ამრიგად, მამას ბავშვის აღზრდა არ გადაუკისრებია მთლიანად დედისათვის.

იმავე ოჯახში ცხოვრობდა მორწმუნე ნათესავი ქალი, რომელიც სარგებლობდა ბავშვთან ყოფნით და ცდილობდა ჩაენერგა მისთვის რელიგიური ცრურწმენანი. მაგრამ ბავშვი იმდენად შემზადებული იყო მამის საუბრებით, რომ მორწმუნე მოხუცმა ვერ შესძლო მოეხდინა მასზე რელიგიური ზეგავლენა. ასე მაგალითად, როცა იგი ბავშვს ეუბნებოდა, კვირა «ღმერთის» დღეა, მამაშენი კი ამ დღეს არ უქმობს და ამით ღმერთის წინაშე ცოდვას ჩადისო, ბავშვი პასუხობდა: მამამ რომ ამ დღეს არ იმუშაოს, მაშინ მისი ავადმყოფები დაიხოცებიანო. მოხუცის ნათქვამზე, რომ მან თავისი თვალით ნახა, როგორ მოჰკლა ღმერთმა ურჩობისათვის ერთი ბიჭი ელვით, ბავშვი პასუხობდა: ის ღმერთი კარგი არ ყოფილა, ბიჭებს თუ ჰკლავსო. მე მამამ მითხრა ელვისა და ქუხილის შესახებ, რომ ეგ ელექტრობაა და ავდრის დროს ხეების ქვეშ არ უნდა დადგეთო.

ამ საუბრიდან ჩანს, თუ რაოდენი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ათეისტური აღზრდისას ბუნების მოვლენების კანონზომიერების ახსნას.

ბავშვის გონების გამდიდრება ჭეშმარიტი ცოდნით საუკეთესო საშუალებაა ზებუნებრივი ბრმა რწმენის წინაალმდეგ. ბავშვი თვითონ გვეხმარება ამ ამოცანის შესრულებაში. იგი ხომ ძლიერ ცნობისმოყვარეა და უამრავ შეკითხვებს იძლევა. ჩვენი მოვალეობაა არ მივუყრუოთ, გავცეთ კითხვებზე მოკლე, მაგრამ სწორი, ბავშვებისათვის ადვილად გასაგები პასუხი.

შეიძლება, აგრეთვე, თქვენი პასუხი განამტკიცოთ დაკვირვებით ან უბრალო ცდით. მაგალითად, ბავშვს კითხვაზე «სად ქრებიან ვარსკვლავები დღისით», აუხსნათ: ისინი არ ქრებიან, უბრალოდ დღისით არ ჩანან, იმიტომ, რომ მზე ძლიერ ანათებს, აჩვენეთ როგორ მკრთალად ანათებს ნათურა დღისით. ზოგჯერ შესთავაზეთ ბავშვებს თვითონ იფიქრონ და გამოძებნონ პასუხი თავიანთ შეკითხვაზე.

არ შეაშინოთ ბავშვი «ქაჯებით» და «ეშმაკებით», რომლებიც ურჩობის შემთხვევაში ვითომდა წაიყვანენ მას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მშიშარა ბავშვი ადვილად ხდება მორწმუნე.

უფროსი ასაკის ბავშვების შეკითხვებზე ყველა მშობელი ვერ გასცემს პასუხს. ამ შემთხვევაში ისინი უნდა დაეხმარონ მათ სათანადო წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენით, ურჩიონ, მიმართონ მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელს და ბიბლიოთეკას.

ზოგიერთი მშობელი არ უშლის ბავშვს ცრუმორწმუნეობის აყოლას. მაგალათად, არის შემთხვევები, როცა გამოცდაზე წასვლის წინ მოსწავლეები ერიდებიან «ცუდი ფეხის» ხალხთან შეხვედრებს, სკოლაში «ბედნიერი გზით» მიდიან, იცვამენ «ბედნიერ» კაბას ან წინდებს, უკავიათ მუშტები, სანამ მათი მეგობარი პასუხობს და სხვ.

«ბედნიერი» და «უბედური» ნიშნები უძველესი დროის გადმონაშთია. სკოლისა და ოჯახის მოვალეობას შეადგენს განუმარტონ ბავშვებს ამ გადმონაშთების უაზრობა.

ბავშვის ათეისტურ აღზრდაში დიდ როლს ასრულებს კინო და თეატრი. კინოსა და თეატრებში მას უფროსი უნდა მიჰყვებოდეს. ნანახი სურათისა და პიესის შესახებ ბავშვს უნდა ვესაუბროთ, მოვისმინოთ მისი აზრი და გავუზიაროთ ჩვენი მოსაზრება. ამ გზით ის ეცნობა ბუნებასა და საზოგადოებას, ობიექტურ სინამდვილეს, მდიდრდება მის წარმოდგენათა მარაგი და ფართოვდება გონებრივი ჰორიზონტი.



რელიგიურ ცრურწმენასთან ბრძოლა მჭიდრო კავშირშია ხასიათისა და ნებისყოფის აღზრდასთან. მიზანსწრაფულობა, სიმტკიცე და თავისი ძალისადმი რწმენა ბავშვებში შრომით, თამაშობით და სწავლით მუშავდება. ამიტომ ბავშვის თამაში და შრომა მოითხოვს დაკვირვებით და მოფიქრებით შერჩევას.

ცხადია, არ შეიძლება გვქონდეს ათეისტური აღზრდის ერთიანი რეცეპტი. ყოველი ბავშვის ბუნება ინდივიდუალურია, ამიტომ ასაკობრივ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით თვითეულს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.

**ი. ძიძიგური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როდესაც ირღვევა ურთიერთგაგება...

*რატომ არის, რომ ბავშვები ხშირად არ ემორჩილებიან მშობლებსა და მასწავლებლებს, არ ისმენენ მათ კეთილ რჩევა-დარიგებას და აკეთებენ საწინააღმდეგოს?—კითხულობენ ხშირად მშობლები.*

ის, რის შესახებაც ისინი თხოულობენ პასუხს, უფრო მეტად შეინიშნება 11—12 წლის ასაკის ბავშვებში.

აი, დედა კიცხავს თავის ბიჭუნას რაიმე დანაშაულისათვის, ნერვიულობს, ყვირის, შვილი კი დამშვიდებულია, ისეთი გამომეტყველებით უსმენს მშობელს, თითქოს ყვირილი მას არ ეხებოდეს. შვილის ასეთი სიმშვიდით მოთმინებიდან გამოსული დედა ლაპარაკს ამთავრებს ყველა მშობლისთვის ცნობილი ფრაზით:—პირდაპირ აუტანელია! ამდენს გეჩიჩინები და შენს თავში არაფერი შედის, შეაყარე კედელს ცერცვი!—ეს ხალხური გამოთქმა ნათლად გამოხატავს იმ მოვლენის არსს, რომელთანაც ჩვენ ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე. მართლაც და, თითქოს რაღაც კედელია აღმართული დედასა და შვილს შორის, რომელშიც არ ატანს დედის შეგონება და საყვედური.

ისეთ შემთხვევას, როცა ბავშვს კარგად ესმის და შეუძლია კიდეც შეასრულოს მშობლების ან მასწავლებლების მოთხოვნები, მაგრამ ამავე დროს «არ ასრულებს» და დაჟინებით უარყოფს მათ, ზოგიერთი ფსიქოლოგი «აზრობრივ ჯებირს» უწოდებს.

როდის წარმოიშობა ასეთი «ჯებირი» და შეიძლება თუ არა მისი დაძლევა? უფრო ხშირად ის წარმოიშობა მაშინ, როცა მშობლები ვერ წვდებიან ბავშვის ამა თუ იმ მოქმედების ნამდვილ მიზეზს. გარეგნულად ერთი და იგივე საქციელი შეიძლება სულ სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული. და არც თუ ისე ხშირად ხერხდება იმ მიზეზების მაშინვე დადგენა, რომლებმაც აიძულეს ბავშვი მოქცეულიყო ასე და არა სხვაგვარად.

წარმოიდგინეთ, რომ 11—12 წლის ბიჭმა თავი დაანება გაკვეთილების მომზადებას ან ამზადებს უყურადღებოდ იმის გამო, რომ იგი გაიტაცა რაიმე მოდელის ან ხელსაწყოს დამზადებამ. მშობლებმა კი ეს არ იციან, ვინაიდან ბიჭი ამ ხელსაწყოებს აკეთებს ამხანაგთან. რადგან ბიჭი ცუდ ნიშნებს იღებს, მას ბრალს სდებენ სიზარმაცესა და უქნარობაში. ბავშვი კი ამ ბრალდებებს არ ეთანხმება. ის ხომ გულმოდგინედ შრომობდა, არცერთი წუთით არ ჰქონდა მოცლა, გააკეთა დიდი და მეტად სასარგებლო რამ. გარეგნულად კი საქმე მართლაც ისე გამოიყურება, თითქოს ბავშვი უბრალოდ ზარმაცობს, გაკვეთილებს ცუდად ამზადებს და გასამართლებელ მიზეზს, რომელიც ახსნიდა მის ასეთ საქციელს, მშობლები ვერ ხედავენ. ისინი მზად არიან შვილი დასაჯონ კიდეც. ბიჭი ხედავს, რომ მისი არ ესმით, სწყინს და გულჩათხრობილი ხდება. ამ დროს შეიძლება მან საერთოდ უარი თქვას ყოველგვარ ახსნა-განმარტებაზე. თუ ასეთი შემთხვევები შემდეგ კვლავ განმეორდა, შვილსა და მშობლებს შორის ირღვევა კონტაქტი და წარმოიშობა «აზრობრივი ჯებირი». ასეთი «ჯებირის» წარმოშობის მეორე მიზეზია ბავშვზე ზემოქმედების ერთიდაიგივე საშუალებების მიღება. ბავშვები ეჩვევიან მათ და აღარ აქცევენ ყურადღებას, ხშირად აღარც კი ფიქრდებიან მის არსზე.

— დაჯექი, მიშიკო, სამეცადინოდ, დაჯექი,—ეხვეწებოდა ბებია შვილიშვილს.—შეხედე, რამდენი დრო გაგიცდა უქმად, ერთი საათია კატას ეთამაშები. მოდი, გენაცვალე, გამოიყვანე ამოცანები და მერე ისევ ითამაშე. მოდი, შენი ჭირიმე, აი, მე სკამიც გამოგიტანე. გესმის, რას გელაპარაკები, მიშიკო?—მიშას, რასაკვირველია, ესმის ბებიას ლაპარაკი, მაგრამ სიტყვების არსებითი შინაარსი არ აღწევს მის შეგნებამდე და არც არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს მასზე. გუშინ, გუშინწინ, ერთი თვის წინ, ერთი წლის წინაც ასევე ჩაესმოდა ბებიას ალერსიანი ხმა: «დაჯექი, მიშიკო, იმეცადინე, დაჯექი გენაცვალე...» ბიჭი შეეჩვია ბებიას ერთიდაიგივე შეგონებებს და უბრალოდ თავს არიდებს მათ.

ხდება სხვაგვარადაც.

— შენ ისევ იგრიხები სარკესთან?—გაჯავრებით ამბობს დედა.—ეს ბავშვი პირდაპირ ჩემს სატანჯველადაა გაჩენილი! შენ ვერასოდეს ვერ მოიშორებ ორიანებს. ბოლოსდაბოლოს დაჯდები თუ არა სამეცადინოდ, შე უქნარავ?

მაგრამ შვილზე არ მოქმედებს დედის ეს გაუთავებელი საყვედურები. იგი შეეჩვია მათ. შესაძლებელია ბავშვზე მოეხდინა გავლენა, დედას ალერსიანად რომ მიემართა მისთვის, შეიძლება მაშინ უფრო დაეგდო ყური მისთვის, მაგრამ დედას არ შეუძლია სხვანაირად მოიქცეს, თუმცა მუდმივ საყვედურებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

ზოგჯერ ასეც ხდება: სამსახურიდან დაბრუნებული მამა გადაწყვეტს შვილს მოელაპარაკოს მშვიდად და სერიოზულად.

— შენ, ჩემო ძმაო, ისევ დაიწყე შენებური? კიდევ გააცდინე გაკვეთილი? სწავლა ხომ შენი მოვალეობაა. ხედავ, მე როგორ ვმუშაობ ქარხანაში, ჩემს ვალს ვიხდი. შენც შეასრულე შენი ვალი—ისწავლე როგორც წესი და რიგია. სინდისი უნდა გქონდეს! არა გრცხვენია, ბიჭო, ასე ცუდად რომ იქცევი?—მამა დიდხანს ლაპარაკობს, ის ხმარობს ისეთ კარგ და მნიშვნელოვან სიტყვებს, როგორიცაა: მოვალეობა, პასუხისმგებლობა, სინდისი. მაშ რატომ ხდება ბიჭის სახის გამომეტყველება სულ უფრო გულგრილი და ცივი?

იმიტომ, რომ ბიჭის გონებამდე ვერ დადის ამ სიტყვების ნამდვილი შინაარსი და მნიშვნელობა, მთელი უბედურება კი იმაშია, რომ ბავშვს არა აქვს პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძნობა. გაკვეთილების კეთილსინდისიერად მომზადების სურვილი. მას სრულიად არ აწუხებს ის, რომ არ შეასრულა დავალება. ბუნებრივია, ბავშვში არარსებული გრძნობებისადმი მიმართული მამის საყვედურები ვერ პოულობენ გამოხმაურებას და ვერ ახდენენ ზეგავლენას.

მამამ ვერ გაითვალისწინა ის, რომ თვით უკვე უფროსი, დისციპლინირებული ადამიანი, ხოლო ბიჭი 12 წლის, ჯერ კიდევ ბავშვი,—სხვადასხვაგვარად აღიქვამენ ერთიდაიმავე სიტყვების მნიშვნელობას. ამიტომ ეს საუბარი წყლის ნაყვა იყო, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ურთიერთგაუგებრობა მამასა და შვილს შორის. ამგვარი გაუგებრობა უფრო ხშირად წარმოიქმნება უარყოფითი ემოციების შედეგად—წყენა, უსამართლობით გამოწვეული განცდები. უარყოფითი ემოციები შეიძლება წარმოიშვას ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მიზეზის შედეგად.

მაგალითად, მასწავლებელმა ბავშვს დაუწერა ცუდი ნიშანი. ბავშვს ეს უსამართლობად მოეჩვენა და გული მოუვიდა მასწავლებელზე და მშობლებზეც, რომლებმაც იგი დატუქსეს ორიანისათვის. თუ ამ შემთხვევაში მშობლები არ დაარწმუნებენ ბავშვს, რომ ნიშანი დაწერილია სწორად, არ მიუთითებენ ორიანის გამოსწორების საშუალებებზე, ცუდი გრძნობა მასწავლებლისა და მშობლებისადმი უფრო გაღრმავდება.

უფრო მეტიც, მოსწავლეს ახლა უმართებულოდ მოეჩვენება მასწავლებლის ყველა დაბალი შეფასება და მშობლის ყველა შენიშვნა.

«აზრობრივი ჯებირი» უფრო ხშირად და უფრო ადვილად მოზარდებში ვლინდება. მზარდი ასაკი მათი თვითშეგნების ფორმირების პერიოდს მოიცავს. ამ პერიოდში მოზარდი განსაკუთრებით მგრძნობიარე და ყურადღებიანია თავისი მოქმედების, ცოდნის, და საერთოდ, სხვის მიერ თავისი პიროვნების შეფასებისადმი. ასეთ პირობებში ადვილად წარმოიშვება ხოლმე «აზრობრივი ჯებირი». განსაკუთრებით კი მაშინ, როცა უფროსები არასაკმაო ყურადღებითა და გულისხმიერებით ეკიდებიან მოზარდებს, როცა არ ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, განწყობილებას, არ გამოხატავენ მათდამი პატივისცემას.

როგორ მოვიქცეთ, როცა მშობლებსა და შვილებს შორის ირღვევა კონტაქტი, როცა მშობელი ვერ ახდენს გავლენას თავის ბიჭზე ან გოგონაზე. შეიძლება თუ არა, ეშველოს ამას რაიმე? რასაკვირველია, შეიძლება.

ამისათვის, პირველყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, სახელდობრ, რა იწვევს ამ «აზრობრივ ჯებირს». ზოგიერთ ოჯახში ბავშვზე არავითარ გავლენას არ ახდენს საყვედურები, ზოგიერთში—პირიქით, ალერსიანი რჩევა-დარიგება. ბავშვების ერთ ნაწილზე დასჯა უარყოფითად მოქმედებს. ისინი უფრო გამომწვევად იქცევიან. მეორე ნაწილი კი დასჯისადმი სრულიად გულგრილად არის განწყობილი. ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოთ ბავშვებთან მიდგომის დროს. ბევრმა მშობელმა კარგად იცის, რომ მათი მეთოდი არ მოქმედებს ბავშვზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც

ძიმართავს მას. მშობელსა და შვილს შორის კონტაქტის აღდგენა ხშირ შემთხვევაში ადვილია. ზოგჯერ საკმარისია უბრალოდ შეიცვალოთ ტონი, ზოგჯერ კი, თქვენი ზემოქმედება შესცვალოთ სხვა ადამიანის ზემოქმედებით.

იმ შემთხვევაში, თუ «აზრობრივი ჯებირი» წარმოიშვა ხშირი დატუქსვისა და ფიზიკური დასჯის შედეგად. კარგად მოქმედებს დასჯითი მეთოდის შეცვლა ალერსიანი, მშვიდი დამოკიდებულებით.

12 წლის ანდრო სკოლაში წესრიგს არღვევდა, ცუდად იქცეოდა სახლშიც. სკოლაში მასზე ზეგავლენის სხვადასხვა ზომებს მიმართავდნენ: დღიურში ჩაწერას, მშობლების გამოძახებას, დაუსრულებელ შენიშვნებს და დარიგებებს. კლასიდან გაგდებას და დროებით სკოლიდან გარიცხვასაც კი. სკოლიდან მიღებული საყვედურებისა და სახლში ცუდი საქციელისათვის მშობლები თავის მხრივ ხშირად სასტიკად სჯიდნენ ბიჭს. მაგრამ მასწავლებლის დარიგებებისა და სახლში დასჯის საპასუხოდ იგი უარესად იქცეოდა.

ერთხელ გაკვეთილების შემდეგ ანდროსთან მივიდა კლასის დამრიგებელი, რომელსაც ბიჭი სხვა მასწავლებლებთან შედარებით უფრო პატივისცემით ეპყრობოდა.

პირველად საუბარი სულ სხვა საკითხებს შეეხებოდა, ხოლო შემდეგ თანდათან გადავიდა ბავშვის საქციელის განსჯაზე. საუბარში გამოირკვა, რომ იგი ნაწყენია მასწავლებლებზე და მშობლებზე სასტიკი შენიშვნებისა და დასჯისათვის, რაც უსამართლობად მიაჩნია. დარწმუნებულია, რომ მას უფრო მეტად სჯიან, სხვა ბავშვებს კი ასეთი დანაშაულისათვის არაფერს ეუბნებიან. კლასის დამრიგებელმა აღმოაჩინა ანდროს ცუდი საქციელის მიზეზი და შესძლო იქვე, მშვიდად, გულითად საუბარში განემარტა მოსწავლისათვის მისი შეცდომები, დაემტკიცებინა მასწავლებლების მოთხოვნის საფუძვლიანობა. ამის შემდეგ მშობლები და კლასის დამრიგებელი შეთანხმდნენ შეეცვალათ ანდროსადმი დამოკიდებულება, შეეწყვიტათ მისი დასჯა სკოლაში და სახლშიც. ეს საუბარი საკმარისი აღმოჩნდა, რომ «ჯებირი» გადალახულიყო და მოსწავლესა და აღმზრდელებს შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარებულიყო.

ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, რომ შეუძლებელია «აზრობრივი ჯებირის» მოსპობისათვის ყველა შემთხვევაში ერთნაირი მეთოდი გამოგვადგეს. საჭიროა ყოველთვის ყურადღებით მივუდგეთ ჩვენს ბავშვებს, გავიგოთ მათი ამა თუ იმ საქციელის გამომწვევი მიზეზი—რატომ არის, რომ გოგონა ან ბიჭი იქცევა სწორედ ასე და არა ისე? რა უშლის მათ ხელს დაემორჩილონ ჩვენს მოთხოვნას? რა განცდებს იწვევს მათში ზემოქმედების ის საშუალებები, რომლებსაც მათ მიმართ ვიყენებთ? ბავშვები თვითონ, თავიანთი საქციელით გვიკარნახებენ როგორ აჯობებს მათდამი მიდგომა, როგორ დავამყაროთ კონტაქტი, ურთიერთგაგება.

ჟურნალიდან

„ს ე მ ი ა ი შ კ ო ლ ა“

# ნოვატორები

ფოტო დ. იაკობაშვილის



ნინო ბერძენიშვილი

ბევრს თუ არა, ზოგს მაინც ახსოვს აქ ოციოდე წლის წინათ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ქეთევან ახობაძისა და ნინო ბერძენიშვილის მისვლა. მათ ქიმიის ლაბორატორიაში დაიწყეს მუშაობა, სამუშაოდან მოუწყვეტლად კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი დაამთავრეს.

ნინომ და ქეთევანმა ერთად გაიზიარეს ფაბრიკის კოლექტივის მიერ მოპოვებული გამარჯვებების სიხარული, ერთად მიულოცეს წარმატება ანა შუშეტკინას, როდესაც იგი, მათ თვალწინ გაზრდილი გოგონა, ინჟინერ-კოლორისტის თანამდებობაზე დააწინაურეს, ერთად იზეიმეს ფაბრიკის გაფართოება, ახალი საწარმოო კორპუსების შემატება.

საქმისადმი სიყვარულითა და ერთგულებით ნინო ბერძენიშვილი და ქეთევან ახობაძე ერთნაირები არიან. ასეთ სიყვარულს შეუძლია ღამეები ათენებინოს ადამიანს. ღამეები ნინოსა და ქეთევანსაც უთენებიათ. ამის შედეგად მათ ანგარიშზე დღეისათვის 30-მდე რაციონალიზატორული წინადადებაა.

ამაზე ბევრს ლაპარაკობენ დღეს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ტექსაბჭოში. იქ იციან, მაგალითად, თვითეული წინადადების შინაარსი და მნიშვნელობა, გამოანგარიშებული აქვთ ის თანხა, რომლის ეკონომიაც წარმოებამ მიიღო მათი დანერგვით.

საქმისადმი სიყვარულის გამოა, რომ ნინო ბერძენიშვილი ქიმიის ლაბორატორიის გამგედ დანიშნეს, ქეთევან ახობაძე კი სამღებრო საამქროს უფროსის მოადგილეა.

ტექნიკური საბჭოს ძველ მუშაკებს ახსოვთ, როგორ შეიმუშავეს ნინო ბერძენიშვილმა და ქეთევან ახობაძემ ქიმიკოსთა ჯგუფთან ერთად პირველი მეტად მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადება.

მაშინ ქვეყანა ომის ცეცხლში იყო გახვეული, მიუხედავად ამისა, აბრეშუმი მაინც საჭირო იყო, ძალიან საჭიროც.. მაგრამ საპნის ნაკლებობა აფიქრებდა ფაბრიკის კოლექტივს.

რამე უნდა ვიღონოთ, — გადაწყვიტეს ნინო ბერძენიშვილმა და ქეთევან ახობაძემ. ქიმიკოსებმა ვ. ჩიქოვანმა და ქ. ოსაძემ მაშინვე გაიზიარეს მათი აზრი.

გაჩაღდა შემოქმედებითი თანამშრომლობა მეცნიერებთან. ლაბორატორიაში უნივერსიტეტიდან მიიწვიეს დოცენტი კლავდია გამსახურდია. დაიწყო ცდები ისეთ ნივთიერებათა შესამოწმებლად, რომლებიც საპნის მაგივრობას გასწევდა. რაციონალიზატორებმა ასეთ ნივთიერებად მიიჩნიეს ნავთობის პროდუქტი—კონტაქტი, რომელიც არამარტო ხელმისაწვდომი, არამედ საპონზე ბევრად იაფიცაა. საპნის შემცვლელი ნივთიერების გამოყენებით ფაბრიკამ დიდძალი ფულადი ეკონომია მიიღო.

მალე ნინო ბერძენიშვილისა და კლავდია გამსახურდიას მიერ რეკომენდებული იყო ახალი მეთოდი, რომლითაც შესაძლებელი გახდა ქსოვილების გამოსახარში მასალების—საპნისა და აგრეთვე რძის მჟავა ქრომის ანალიზი ორ საათში, ნაცვლად მანამდე გათვალისწინებული 3—4 დღისა. მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა წინადადებამ წარმატებით გაიარა საწარმოო გამოცდა, ნინო ბერძენიშვილმა დაიწყო აბრეშუმის ქსოვილების საღებავთა ანალიზის დაჩქარების გზების ძიება.

ძიებას კი შედეგად მოჰყვა ის, რომ სამუშაო, რომლისთვისაც წინათ 1 დღე მაინც იყო საჭირო, ახლა 2—3 საათში სრულდება.

ამჟამად აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში საგრძნობლად გაუმჯობესდა ქსოვილების ღებვა. აბრეშუმი მიმზიდველი და მრავალფეროვანია. მეაბრეშუმეებმა იციან, რომ ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ნინო ბერძენიშვილს.



ქეთევან ახობაძე

# როგორ მოვუაროთ ყვავილებს...



დაკრეფილი ყვავილები მალე ჭკნება.

მებაღე-პრაქტიკოსები თაიგულების ცოცხლად შენახვის ასეთ საშუალებას მიმართავენ: ლარნაკში ჩადებამდე ყვავილის ღეროს გადაჭრილ ადგილას სიგრძეზე და ჯვარედინად 5—10 სანტიმეტრზე ჩაჭრიან. განსაკუთრებით მოსახერხებელია ამ ხერხით იასამნის, ჟასმინის, ვარდის, ასკილის და სხვა მეტნაკლებად სქელყლორტიანი მცენარეების შენახვა. ღეროს ჩაჭრა უკეთესია წყალში.

ყვავილისთვის წყლის ყოველდღე გამოცვლა აუცილებელია.

თუ ასე მოვიქცევით, ყვავილის თაიგული 8—10 დღე შეიძლება შეინახოს ცოცხლად.

ჭკნობადაწყებული ყვავილები ღეროს ჩაჭრის შემდეგ ხშირად ცოცხლდებიან, ეშლებათ კოკრები და სურნელებაც უბრუნდებათ.

## არ გეწყინოთ, გეთაყვა!

მხოლოდ მამაკაცებისათვის

თქვენს ოჯახში პატარა გაჩნდა. დგები თუ არა ხანდახან ღამე, როცა ბავშვი ტირის? იქნებ შენც ეკუთვნი იმ ეგოისტთა რიცხვს, ბავშვის ტირილი რომ ანერვიულებთ და დახმარების მაგივრად უყვირიან ცოლს?

იქნებ შენ ფიქრობ, რომ პალტოს ჩაცმაში ცოლს მხოლოდ თეატრში უნდა მიეხმარო?

შენ ფეხბურთის დიდი მოტრფიალე ხარ. როგორ გადაწყვეტ— მატჩზე წახვალ თუ ავადმყოფი ბავშვის საწოლთან დარჩები?

აფრთხილებ თუ არა წინასწარ ცოლს, როცა სახლში ამხანაგები მოგყავს?

ხომ არ ეკუთვნი იმ მამაკაცთა რიცხვს, რომელთაც ეუხერხულებათ ხალხში ფეხმძიმე ცოლთან გამოჩენა?

ვერ ატყობ, რომ ჩუმჩუმად ყველა ნაცნობი და მეგობარი დაგცინის შენი მუდმივი უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო?

იცი თუ არა, რომ შენი ყურადღება ისევე ესიამოვნება ცოლს ქორწინებიდან ათი წლის შემდეგ, როგორც ქორწილის დღეს?

შენ კულტურული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებ. მაშ, რატომ ხდება ზოგჯერ ისე, რომ ქუჩაში შენ წინ მიდიხარ, ცოლი კი უკან მოქლოშინებს?

შენ პაპიროსს ეწევი. იქნებ დაგავიწყდა, რომ თქვენს ოჯახში არსებობს საფერფლე? ხომ არ ყრი ფერფლს იატაკზე—დივანთან, სადაც წევხარ, პაპიროსის ნამწვავებს კი—ყვავილების ლარნაკში?

ხომ არ ფიქრობ, რომ შენს ცოლს სამზარეულოზე ნაკლებად უყვარს კონცერტი ან კინო?

შტაპელის ქსოვილის სირბილისათვის გამოხარშვა-განშრევების დროს ნინომ ძვირადღირებული საპონ-სოდის ნაცვლად იაფფასიანი ქლორომინის ხსნარი იხმარა. ეს იყო გაბედული, ნოვატორული ცდა, რომელიც ბრწყინვალე შედეგით დაგვირგვინდა. მისი დანერგვით აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ მარტო ერთი წლის განმავლობაში 200 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო.

1945 წლიდან აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში დანერგილია და დიდი პოპულარობით სარგებლობს ნატურალური აბრეშუმის ქსოვილის სწრაფი ხარშვის მეთოდი. მუშები მას ბერძენიშვილისა და ახობაძის მეთოდს უწოდებენ და ეს სამართლიანიცაა. მისი დანერგვით 100 პროცენტით გადიდდა სახარშ მოწყობილობათა მწარმოებლობა, შემცირდა დროის, ორთქლისა და დამხმარე მასალების ხარჯვა. ფაბრიკას 300 ათასი მანეთის წლიური ეკონომია აქვს.

მიმდინარე წელს დაინერგა ბერძენიშვილისა და ახობაძის ახალი მეთოდი კრეპ-შიფონის ქსოვილთა ხარშვა-ღებვისა. ამ მეთოდის თანახმად მეაბრეშუმეები გაცილებით ნაკლებ საპონს იყენებენ, სამაგიეროდ ხსნარში ურევენ ბისულფატს.

საქმის სიყვარულით შეიძლება ღამეები ათენოს კაცმა. ასეა ორი მეგობარი, რომლებიც გარეგნობით არ ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ შრომაში ერთნაირები არიან.

დ. დავითაშვილი




## შინდის მურაბა

5 კილოგრამი ახლადდაკრეფილ.ი მწიფე შინდი დაარჩიეთ და გარეცხეთ. 5 კილოგრამ შაქარს (უმჯობესია ნატეხი შაქარი) დაასხით სამი ჭიქა წყალი და მოადუღეთ სიროპი.

როცა სიროპი გაგრილდება, ჩაყარეთ მასში შინდი, დადგით ზომიერ ცეცხლზე და ადუღეთ გადმოუღებლად. ხარშვის დროს ჭურჭელი შეანძრიეთ, შინდს კოვზით ნუ აურევთ. როცა სიროპი შესქელდება და შინდი მასში თანაბრად განაწილდება, მოხადეთ ქაფი.

იმის გასაგებად, მურაბა მზად არის თუ არა, შეიძლება შემდეგი საერთო წესით ისარგებლოთ: სიროპი გააცივეთ და ერთი წვეთი დაასხით ლამბაქზე. თუ იგი არ გაიშლება, მურაბა მზად არის. ანდა დაასხით ლამბაქზე წვენი, გააცივეთ და კოვზით გახაზეთ. თუ გაყოფილი წვენი არ შეერთდა, ე. ი. მზად არის.

მურაბა რომ გამზადდება, გადმოდგით, გააცივეთ, შემდეგ ჭურჭელს მარლით მოუკარით თავი და დილამდე ასე დატოვეთ. მეორე დღეს ჩაასხით ქილებში, მოუკარით თავი ჰაერგაუმტარი ქაღალდით და შეინახეთ გრილ ადგილას.

ამ წესით დამზადებული მურაბა არც დამჟავდება და არც დაშაქრდება.

## საზამთროს მურაბა

აიღეთ სქელკანიანი საზამთრო, მოაშორეთ გული და მწვანე კანი, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, დაჩხვლიტეთ, ჩაყარეთ ჭურჭელში, მოაყარეთ კირი, დაასხით წყალი და გააჩერეთ ასე 2 საათის განმავლობაში. შემდეგ გარეცხეთ კარგად, აადუღეთ შაბიან წყალში, ისევ გარეცხეთ, ისევ აადუღეთ შაქრიან წყალში (ერთ ლიტრ წყალზე აიღეთ 100 გრამი შაქარი), კიდევ გარეცხეთ და დადგით მოსახარშად. როცა სიროპი გასქელდება და საზამთრო გამჭვირვალე გახდება, შეამოწმეთ ზემოთაღწერილი წესით.

ერთ კილოგრამ დაჭრილ საზამთროზე აიღეთ 2 კგ და 100 გრამი შაქარი, 200 გრ კირი, $1/2$ სუფრის კოვზი შაბი და 3 ჩაის ჭიქა წყალი.

## ღოღნოშოს მურაბა

4 კილოგრამი მწიფე, ახლადდაკრეფილი ღოღნოშო დაარჩიეთ, გარეცხეთ, დაჩხვლიტეთ თვითეული 4—5 ადგილას ისე, რომ ნაჩხვლეტი მეორე მხარეს გამოვიდეს. ჩაყარეთ წინასწარ გამზადებულ სიროპში და დასტოვეთ 4 საათი (სიროპის მოსამზადებლად 4 კილოგრამ შაქარს დაასხით 2 ჩაის ჭიქა წყალი), მერე შედგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. შემდეგ გადმოდგით, გააცივეთ და კვლავ აადუღეთ. მერე გადმოდგით და ასე დასტოვეთ დილამდე. დილას მოხარშეთ ისეთივე წესით, როგორც შინდის მურაბა.

ამ წესითვე მზადდება ჭანჭურის მურაბაც.

## ლეღვის მურაბა

სამურაბედ გამოდგება თეთრი, შავი ან ნახევრადმოწითალო საშუალო ზომის დაუხეთქავი ლეღვი.

აიღეთ 4 კილოგრამი ლეღვი, თვითეული დაჩხვლიტეთ 4—5 ადგილას ისე, რომ ნაჩხვლეტი მეორე მხარეს გავიდეს. ჩაყარეთ წინასწარ გამზადებულ გაგრილებულ სიროპში.

სიროპის მოსამზადებლად 4 კილოგრამ შაქარს დაასხით 8 ჩაის ჭიქა წყალი და ხარშეთ საშუალო სიძლიერის ცეცხლზე.

იმის გასავებად, მურაბა მზად არის თუ არა, სიროპი გასინჯეთ ზემოთაღწერილი წესით.

## ნაჭრებად დაჭრილი ატმის მურაბა

ბიბლიოთეკა

3 კილოგრამი ახლადდაკრეფილი სამურაბე ყვითელი ატამი გათალეთ, თვითეული დაჭერით ექვს ნაწილად და ჩაყარეთ წინასწარ გამზადებულ ნელთბილ სიროპში (მზადდება 3 კილოგრამი შაქრითა და 2 ჭიქა წყლით), გააჩერეთ 3—4 საათი. მერე ცეცხლზე შედგით, მიიყვანეთ ადუღებამდე, გადმოდგით, კიდევ გააჩერეთ 3—4 საათი. შემდეგ ერთხელ წამოადუღეთ, გადმოდგით, დატოვეთ დილამდე. მეორე დილას ჩვეულებრივად მოხარშეთ.

გათლილი ატმის წონის გასაგებად აწონით კურკები და ნათალები.

## მთელ-მთელი ატმის მურაბა

4 კილოგრამი სამურაბე ყვითელი ატამი გათალეთ (შეგიძლიათ გაუთლელიც გააკეთოთ), თვითეული 5—6 ადგილას დაჩხვლიტეთ მახათით ისე, რომ ნაჩხვლეტი მეორე მხარეს გამოვიდეს, ჩაყარეთ წინასწარ გამზადებულ ნელთბილ სიროპში (მზადდება $4\frac{1}{2}$ კილოგრამი შაქრითა და 4 ჩაის ჭიქა წყლით), გააჩერეთ 4—5 საათი. შემდეგ შედგით ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე, გადმოდგით, გააჩერეთ კიდევ 4—5 საათი, მერე ერთხელ წამოადუღეთ, გადმოდგით და დატოვეთ დილამდე.

დილას კი ჩვეულებრივად მოხარშეთ.

## კომშის მურაბა

სამურაბედ შეარჩიეთ ყვითელი, მოგრძო კომში, რომელსაც შიგნითა გულიც ყვითელი აქვს. გარეცხეთ 5 კილოგრამი კომში, გათალეთ, თითო გაჭერით 8 მოგრძო ნაჭრად, ჩაყარეთ ნელთბილ სიროპში (მზადდება 5 კილოგრამი შაქრით და 7 ჩაის ჭიქა წყლით) და მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით.

---

გარეკანის პირველ გვერდზე—გიული ხოსონაშვილი, თბილისის ქარხანა «ელგამშვების» ამწყობი მუშა. იგი დიდი ხანი არ არის რაც წარმოებაში მოვიდა სიმწიფის ატესტატით. ყოველთვიურ გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებს.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—ნატურმორტი.

მხატვარი ბელა ბერძენიშვილი

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VIII-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. საავტ. ფორმ. რაოდ. 3,5.

რედაქციის მისამართი. სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 1014. უე 03940

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.

## წაუკითხეთ პატარებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ნაზი თარგამაძე

#### წ ვ ი მ ა

რა შხაპუნით მოდის.
რა ლამაზად წვიმს.
გააცოცხლებს ბაღებს,
სუფთა წყალი ცის.

წკაპ, წკუპ, წკაპ და წკუპ,
ტინ, ტინ და ტინ,—
წვეთს გასძახის წვეთი,
ჩემი ფანჯრის წინ.

ელექტრონის სიმი
ემსგავსება მძივს,
მერე წყდება მძივი
იფანტება ძირს.

წკაპ, წკუპ, წკაპ და წკუპ.
ტინ. ტინ და ტინ.
ნოტებს არჩევს წვიმა
ჩემი ფანჯრის წინ.

#### პ ა ტ ა რ ა   ნ ა ნ ა

ნანა ფერს და მოფერებას
ერთმანეთში ვერ არჩევს.
ჩამოგითვლით ფერებს, იტყვის—
ვეფერები დედაჩემს.

რაც მას მოსწონს საერთოდ,
რაც კი უყვართ პატარებს,
ნანა ვისაც ეფერება,
ყველას იმ ნივთს ადარებს.

გეტყვით: ჩემო ვაშლო, მსხალო,—
მოფერება ჰგონია,

გუშინ ბებო გადაჰკოცნა
და უწოდა ბროლია.

რა ჰქნას ნანამ, სახლში მასაც
ასე ეფერებიან:
ჩემო ფისო,—ეტყვის დედა,
ცუგოს არქმევს ბებია.

ნუ დავცინებთ ამ პატარა
ნანა გოგოს უცოდველს,
რომ ესმოდეს, განა მამას
წითელ კაბას უწოდებს?

### ზარიელ ხავთასი

#### თ ხ უ პ ნ ი ა

პირზე მუდამ მური სცხია,
მტვრიანი აქვს თავი.
ვერ გაარჩევთ ეს გოგონა
თეთრია თუ შავი.
აბა, სცადეთ და უთხარით:
— დაიბანე პირი.
აყვირდება «მე სუფთა ვარ»!—
მოაყოლებს ტირილს.
სარკეში რომ ჩაიხედა
ყველას გაგვეცინა,

როცა უცბად მისმა ლანდმა
თვითონ შეაშინა.
გაებუტა ნანა სარკეს,
არ ჩახედოს—არჩევს.
ამბობს: სარკე ჩამაცივდა,
სულ მურიანს მაჩენს.
და რომ ჰკითხოთ, ვერც კი გეტყვით
დღეს თხუპნია ნანა—
სარკე უფრო ეჯავრება
თუ ხელპირის ბანა.

#### ბ ე ბ ი ა   დ ა   ფ ი ს ო

ბებო წინდას ქსოვდა,
დიდი საქმე ჰქონდა,
სკამქვეშ ფისუნია
ძაფთან თამაშობდა.
ბოლოს გათამამდა
აიზნიქა ზურგი,
თათი ჰკრა და ხვრელში
შეაგორა მურგვი.
წამოვარდა სწრაფად
გრძელი ჯოხით ხელში,
მაგრამ ფისუნიაც
უმალ ჩაძვრა ხვრელში.
აწუწუნდა ბებო:
«რით მოვქსოვო წინდა,

ფისოს დავიჭერდე,
არაფერი მინდა».
მაგრამ არ ჩანს ფისო,
არ გამოდის კარში,
თუმცა ხვრელთან სამჯერ
გავუგორეთ ვაშლი.
ალბათ დამნაშავემ—
გალახავენ იცის.
მხოლოდ გიგლა ბიჭი
ვერ იკავებს სიცილს.
ბოლოს გვითხრა:—ფისოს
რატომ გაებუტეთ?!
იქნებ ისიც ახლა
წინდას უქსოვს კნუტებს

#### ს ა ა თ ი

— რომელი საათია?—
შემეკითხა ნუგზარი.
— რვის ნახევარია-თქო,—
მეც მაშინვე ვუთხარი.

ეშმაკურად შემხედა.
გაისწორა ქამარი;
მითხრა,—რვის ნახევარი
განა ოთხი არ არის?

#### ჯანსული და ლეღვის ხე

ლეღვო, შენ რომ გიყურებ
მოთმინება არ მყოფნის,
ხეზე ვერ ამოვდივარ,—
ჩამომიგდე ნაყოფი.
— ის ჯერ მწიფე არ არის,—
ხემ მიუგო პასუხი...

— როდის დამწიფდებაო,
არ ეშვება ჯანსული.
— მალე, ჩემო პატარავ,
ეს შენ ნუ გეფიქრება,
ლეღვი რომ გაიცინებს
მწიფეც მაშინ იქნება.



ეროვნული ბიბლიოთეკა